№ 35
სამშაბათი 12 თებერვალი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

№ 35
სამშაბათი 12 თებერვალი 1902 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

ტფილისი
68
ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 16 თებერვალს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
თავადის რაფიელ დავითის ძის
ერისთავის
სულის მოსახსენებლად სოფ. ქისტაურს. ასულნი და სიძენი განსვენებულისანი აუწყებენ ამას ნათესავთ, ნაცნობთ და მის პატივის მცემელთ. (3—6.—3)

1 თებერვლიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია"
ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія". ტელეფონი № 227.

კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში იყიდება
ორი წლის ნამყენი ხეხილი
ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და ქლიავი საუკეთესო ჯიშისანი, ჰაჯი-ისმაილოვლის სანერგედგან. (3—6.—3).

ქართული თეატრი.
ხუთშაბათს, 14 თებერვალს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ა. დ. ყიფიანის მონაწილეობით
I
მეფე ლირი
ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგ. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, ბ-ნნი: ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ივანიძე, იორდანოვი, მოურავიშვილი.

დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება „დემონი", ოპერა რუბინშტეინისა, „მაღა ადმერთს ჩნავს", „ზოგი ჭირი მარგებელია".

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყურთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
ვ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
ვ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

მიწის ძვრის ამბები.

პროფესორის ე. ლეისტის აზრი შემახაში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ.

შემახის დამქცევი მიწის ძვრა ერთობ ცხადად აღუნიშნავთ სეისმოლოგიურ განყოფილების ფიზიკურ ხელ-საწყობებს მოსკოვში. იანვრის 31-ს, შუადღის 12 საათსა და 13 წამს, სეისმოგრაფებმა ჩასწერეს მიწის ძვრის დასაწყისი. 4 წამის განმავლობაში განუწყვეტლივ იძვროდა მიწა. შემდეგ 12 საათსა და 17 წამს, კიდევ 4 წამის განმავლობაში, განუწყვეტლივ მძლავრად იძვროდა და ირყეოდა მიწა, ასე რომ ერთს წამში 25 გრიალი იყო მიწისა. აი, ამ 4 წამში დაიქცა შემახა. შემდეგ კიდევ 12 საათსა და 21 წამს 5 წამის განმავლობაში სეისმოგრაფებმა აღნიშნეს მიწის თან-და-თან შესუსტებული რყევა.

პროფესორის აზრით, ახლანდელი მიწის ძვრა შემახაში იშვიათია და უმაგალითო თავისის სიძლიერითა და ხანგრძლივობით. დღემდის უძლიერეს მიწის-ძვრად ითვლებოდა ლისსაბონის მიწის ძვრა, რომელიც მოხდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, დილის 10 საათზე. იმ დღეს, დღესასწაულის გამო, ლისსაბონელთა უმრავლესობა ეკკლესიებში იყო, სადაც ცოცხლად იქმნა დამარხული სულ რამდენიმე ათი ათასი კაცი.

კიდევ აღსანიშნავია კამჩატკის მიწის ძვრა 1727—1731 წლებში, ე. ი. ოთხის წლის განმავლობაში. ისეთი ძლიერი იყო ეს კამჩატკის მიწის ძვრა, რომ ერთხელ კურილის ორს კუნძულს შუა, ზღვის მოქცევის დროს, მიწის რყევამ ისეთი ძალით გადისროლა წყალი, რომ ზღვის ფსკერი გამოჩნდა.

შემახის მიწის-ძვრას მოსკოვშიაც შეურყევია მიწა, თუმცა სუსტად-კი („კავკასი").

⁂ „კასპში" დაბეჭდილია ფელეტონი ინჟენერის პ. ლაზარევისა კუჩანის (ჩრდილოეთის ხორასნის) მიწის ძვრის შესახებ. კუჩანი, როგორც შემახა, რამდენჯერმე დაუნგრევია მიწის ძვრას. უკანასკნელი მიწის ძვრა კუჩანში იყო 1895 წ., როცა მტვრად იქცა ყველა შენობები და ნანგრევებში ოც-და-ხუთი ათასი მცხოვრები დაიმარხა. მთელ ქალაქიდგან გადარჩა ერთად-ერთი ხის ფარდული ხანის ბაღში. სხვა შენობები ყველა ქვითკირის აგურისა, ან ხისა და აგურ-ნარევი ყოფილა. შემდეგ ავტორი ასწერს უზუნ-ადას მიწის ძვრას იმავ 1895 წელს, რომელიც სიძლიერით არ დაუვარდებოდა თურმე კუჩანის მიწის ძვრას, მაგრამ სრულიად არავითარი ზარალი არც კაცისა და არც ერთის შენობისათვის არ მოუტანია. ავტორი ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ ყველა შენობები უზუნ-ადაში ხისა ყოფილა. მთელს ქალაქში მხოლოდ ერთი ქვის შენობა ყოფილა და მიწის ძვრასაც ის დაუქცევია მარტო...

⁂ ნანგრევებს თან-და-თან უფრო მეტი მუშა სთხრის შემახაში. სალდათები სამ წყებად მუშაობენ, მათთან ერთად მუშაობენ აგრეთვე მიდამო სოფლების გლეხებიც, რომელნიც ოთხსა და ხუთს მანეთს იღებენ დღეში ხელ-ფასად. შეძლებულნი ამ მუშებს ჰქირაობენ და ღარიბნი თვით მუშაობენ.

მიწის ძვრის პირველ დღეს გაჩენილი ცეცხლი ჯერაც არ ჩაუქვრიათ. ასი კაცი ებრძვის ამ ცეცხლს, მაგრამ ვერა დაუკლიათ-რა. არიან ისეთნი, როგორც, მაგალითად, ჰაჯი-ჯაფარ სალამოვი, ჰაჯი-მოლა ალი ზეინალოვი და ლალაევი, რომელთაგან თითოეულს დაეღუპა ნახევარ მილიონზე მეტი ქონება. მიწის ძვრამდე მდიდარი დღეს მშიერ-მწყურვალი დადის ქუჩა-ქუჩა. ყველას ჰშიან, ყველას სწყურიან, ყველას სცივა. უკიდურესობამდე მიღწეულნი ლატაკნი სხვისას თავისად იჩნევენ და მდიდრების ნანგრევთაგან ღამით თხრიან და მიაქვთ ხალიჩები, ქეჩები და სხვ., რაც ხელთ მოხვდებათ. ამიტომაც მთავრობა იძულებულია ღამ-ღამობით ჯარის-კაცნი დარაჯებად დააყენოს ნანგრევებზე. ვისაც შეუძლიან გარბის აქედგან. ყოველ-დღე 200-ოდე ურემი, ატირებულ ქალ-ბავშვებით სავსე, სტოვებენ სამშობლო ქალაქის ნანგრევებს და მიდიან ზოგნი ახლო-მახლო სოფლებში, ზოგნი ბაქოსა და ყუბაში...

⁂ თებერვლის 8-ს ბაქოში ჰაჯი-ზეინალაბდინ თაღიევის თეატრში წარმოდგენა გამართა სომხის ტრუპპამ. შემოსავალი დანიშნული იყო შემახაში დაზარალებულთა სასარგებლოდ. „კასპის" სიტყვით, წარმოდგენას ისე ცოტა ხალხი დასწრებია, რომ შემოსავალი 200 მანეთზე მეტი არ იქმნებოდა.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის საზნაურო სკოლის დაბალ კლასების მასწავლებელი ი. მაღალაშვილი დაინიშნა ავჭალაში მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დირექტორად.

⁂ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას წარსულის საანგარიშო წლის განმავლობაში წმინდა მოგება 9,000-მდე მანეთი ჰქონია.

⁂ იანვრის 29 პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების თხოვნით პროფესორს მარრს წაუკითხავს ლექცია მარი ბროსსეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

⁂ მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორის გ. ი. ქანანოვის ქვრივმა ასი-ათასი მანეთი შესწირა თეირანში სომხურის ინსტიტუტის დასაარსებლად. ამ დღეებში ეს ინსტიტუტი უკურთხებიათ კიდეც. პროგრამა ინსტიტუტისა ჰგავს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროგრამას. ამ ახალს ინსტიტუტში სხვა მთავარ საგანთა შორის საპატიო ადგილი აქვს მინიჭებული რუსულს ენას.

⁂ გამოირკვა, როგორც იყო, კავკავის სკოლის ერთი კითხვა, სახელდობრ, მასწავლებლის ყოფაქცევის შესახებ და ჩვენი დინჯი გამგეობა (წ. კ. საზოგადოებისა) იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სკოლა და ეს ორმოციან წლების ნაშთი მასწავლებელი დღეს ერთად ველარ მორიგდებიანო. ამიტომ გადაწყვიტეს მასწავლებლის სკოლიდან მოშორება. მის კვალს მიჰყვა, კავკავის სკოლიდან, რასაკვირველია, ბ. გოთუაც, რომელიც ისე თავგამოდებით იცავდა ამ მასწავლებელს თავის წერილებში. არც ეს არის დიდათ სამწუხარო, თუ ასე მჭიდროთ იყო დაკავშირებული მისი საზოგადოებისადმი სამსახური ამ მასწავლებლის ბედთან. დაგვრჩენია მხოლოდ ორივეს გზა მშვიდობისა ვუსურვოთ, და ჩვენს სასწავლებელს-კი სახელის აღდგენა და მშვიდობიანი განვითარება. ამით ვათავებთ კავკავის გარემოებათა გადმოცემას, მაგრამ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ თვით წერა-კითხვის საზოგადოების კრების ერთი მომენტი, როდესაც ზოგიერთი ჩვენი „მოღვაწეები" ცხვირში ეცნენ პატივცემულ იაკობ გოგებაშვილს, როცა მან კავკავის სკოლის ნორმალურ წესზე ჩამოაგდო ლაპარაკი და იქაური ამბები გამოამჟღავნა. ზოგიერთები იმ ზომამდე გაკადნიერდნენ მაშინ, რომ ჭორიკანაც-კი უწოდეს პატივცემულ პედაგოგს. საინტერესოა, რას გრძნობენ ახლა ეს ვაჟბატონები თავის სინიდისისა და საზოგადოების წინაშე? ვინ გამოდგა ჭორიკანა და უგვანო საქციელის ხელის დამფარებელი? მაშინ საქმე არ იყო გამოძიებულიო, იტყვიან ეს „მოღვაწეები", მაგრამ ეს მათ ვერ გაამართლებს გოგებაშვილის წინ. მათ შეეძლოთ ეთქვათ, საქმე არ არის გამორკვეულიო, და ამას ყველა მიიღებდა, მაგრამ კაცის ჭორიკანად მონათვლა, იმ კაცისა, რომელსაც, როგორც გამოირკვა, მხოლოდ სკოლის და მოზარდი თაობის ინტერესები ამოქმედებდნენ, დიდზე უდიდესი შეცდომა და შეცოდებაა და მის გასასწორებლათ საჯაროთ ბოდიშის მოხდაა საჭირო. მერე შესწევთ ამისთვის ძალა რომელსამე მათგანს? არა ვგონებთ"... („კვალი").

⁂ კვირას, 10 თებერვალს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მოწვეულ პირებთან ერთად მოლაპარაკება ჰქონდა ვ. ა. აბაშიძის 25 წლის სცენაზედ მოღვაწეობის დღესასწაულის შესახებ. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, დღესასწაული 10 მარტს გაიმართება ქართულს თეატრში. გადაწყვეტილ იქმნა არტისტის პატივის ცემა, ადრესების და დეპეშების კითხვა და სხვ. დღისით გაიმართოს, ხოლო საღამოთი—წარმოდგენა. ამ დღისთვის უნდა დაიბეჭდოს ხალხში დასარიგებლად პატარა წიგნაკი, სადაც მოკლედ მოთხრობილი იქმნება ვ. აბაშიძის ბიოგრაფია და სცენაზედ მოღვაწეობა. დღესასწაულის მოწყობა, პროვინციასთან მიწერ-მოწერის გამართვა და სხვა საქმეები დაევალა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და განსაკუთრებით ამ საქმისათვის არჩეულ პირებს.

⁂ ილდოკანი (თიანეთის მაზრა): უხსოვარ დროიდან ამ სოფლის ტყეზედ არის გაყვანილი გზა, რომელსაც 1888 წელს სხვა მიმართულება მისცეს. სამძიმო საპალნეები ახალ გაყვანილ გზაზედ დააქვთ, ცხენოსანი და ქვეითი-კი, მეტის-მეტ სიახლოვისა გამო, იმავე ძველ გზაზედ დადის. ტყე, რომელზედაც ეს გზაა გაყვანილი, ეკუთვნის მატნელ მემამულეს, რომელსაც ტყის მცველები ჰყავს დაყენებული. ეს მცველნი სძარცვავენ მგზავრთ, მაგალითად: გაძარცვეს ს. თიანეთს მცხოვრებნი ა. მეკონდახიშვილი, ს. ლვინიაშვილი, ს. სამუკაშვილი, პ. და შ. ფაშურიშვილები. ორს ამათგანს მოუკლეს ლორები, დანარჩენებს წაართვეს ხურჯინები და ჟითო მანეთი ფული. ყველა ამ საქმეებზედ საჩივრებია შეტანილი მომრიგებელ სასამართლოში. თუ ტყის პატრონი გზაზედ სიარულს უშლის, ყარაულები გზის თავში და ბოლოში დააყენოს და არა გზის შუა ნაწილში. ან-კი რა უნდა აზარალოს ილდაკნის ქვა-ღორღიან გზაზედ ფეხ და ფეხ მიმავალმა მგზავრმა ტყის პატრონს?...

თითქმის ნახევარ წელიწადზედ მეტია, რაც ილდაკნის მრავალ ადგილას აღმოაჩნეს ნავთი, რომელიც ძლიერ კარგის ღირსებისა გამოდგა. ჰებს თხრას უკვე შეუდგნენ. ჯერ-ჯერობით 11,000 მანეთია დახარჯული. მუშაობა დროებით შეჩერებულია, რადგანაც ბურღი გაუტყდათ და ახალს მოელიან ბაქოდგან.

⁂ გუშინ, 11 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ვორონცოვის ხიდს ზევით მტკვარმა მოიტაცა ფაეტონი „კუჩრიანათ". ფაეტონი და კუჩერი მტკვარმა ხიდის ზემოდ წისქვილს ქვეშ შეიტანა. გუშინ მხოლოდ ერთი დამხრჩვალი ცხენი გამორიყა. მეორე ცხენი, კუჩერი და ფაეტონი-კი ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ.

—

იმერეთის ამბები:

—

⁂ ს. ზეკარი (ქუთაისის მაზრა): აქაურები ერთობ ჩამორჩენილნი არიან სწავლა-განათლების საქმეში. ამ სოფლისათვის გულ-შემატკივარი არავინ არის, გარდა ახალგაზდა მასწავლებლის ვარეშიძესი, რომელიც შრომას არ ჰზოგავს ამ სოფელში სწავლის საქმის ფეხზე დაყენებისათვის. მისის მეოხებით აქაური ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაკეთდება ამ მოკლე ხანში.

აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ვნახოთ, შემდეგში რა იქნება.

⁂ ს. ბაღდადი (ქუთაისის მაზრა): დიდი ხანია აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. ამ ბოლო დროს ამ სასწავლებლის შენობისათვის საკმაო დიდი ალაგი შევიძინეთ და შენობაც დავიწყეთ, მაგრამ დამთავრება გვიანდება. ამ შენობაში მასწავლებლებსაც უნდა ჰქონდეთ ბინა. ახლა ისინი იძულებულნი არიან ცივსა და დაძველებულს სახლებში იცხოვრონ.

კარგი იქნება, რომ შენობის საქმეს დააჩქარებდნენ, მით უფრო, რომ ყველა მასალა მზად არის და შრომის მოყვარე აქაურნი მასწავლებელნი დიდს გაჭირვებას ითმენენ.

⁂ სამტრედიელებს (ქუთ. მაზრა). ს. სიხარულიძისა და ს. სტურცას თაოსნობით უთხოვს ნიათ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის კ. დ. მაჭავარიანისათვის, რომ მათის ნივთიერის მონაწილეობით დაარსებულ იქმნას სამტრედიაში, როგორც გუბერნიის შუა-გულში, სამეურნეო სკოლა ფრინველების მოშენებისა, მეაბრეშუმეობისა, მებაღეობისა და მებოსტნეობის განყოფილებებით. ამ თვის 2-ს ინსპექტორი ჩასულა სამტრედიაში ამ საქმის გამო იქაურებთან მოსალაპარაკებლად. თათბირზე გადაუწყვეტიათ ნ. თ. მკურნალს მიანდონ ამ განზრახულის სკოლის პროგრამისა და საზოგადოდ საქმის მოწყობის შემუშავება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. „კავკასის" სიტყვით იმავ სხდომაზედვე გადაუწყვეტიათ დაიარსონ სამტრედიაში სამეურნეო ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება. ამ საქმის მოწყობაც ნ. თ. მკურნალისათვის მიუნდვიათ. ბ-ნი მკურნალი რუსეთის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისურ განყოფილების სეკრეტარია და მასვე აქვს მინდობილი ხსენებულის საზოგადოების განყოფილებათა მოწყობა ამიერ-კავკასიაში.

მიწის ძვრა საქართველოში.

დღევანდელი უბედურება შემახელებისა და შარშანწინდელი ჯავახელებისა მიწის-ძვრისაგან მოგვაგონებს ამგვარსავე ბუნების მოვლენას უწინდელ დროისას. ჩვენს მემატიანეებს აღუნიშნავთ, როდის, სად რანაირი მიწის-ძვრა იყო, სად, როდის და რამდენს ხანს მძვინვარებდა შმუსრველი ჟამი, ჭირი, როდის გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი და სხ.

ადვნუსხავ უმთავრეს წლებს მიწის-ძვრისას.

453 წ. 26 იანვ. ტყავზედ ნაწერს საწელიწადო სვინაქსარში № 222, გვ. 207 ვკითხულობთ: ამასვე დღესა ხსენებაჲ დიდისა მის ძვრისა, რომელი იქმნა დასასრულსა მცირისა თეოდოსის მეფობისასა, თვესა იანვარსა კვ, დღესა კვირიაკესა, ჟამსა მეორესა დღისასა. რამეთუ დაეცნენ ზღუდენი ქალაქისანი და ნაშენებნი მრავალნი, ხოლო უმეტესად ტროადესა ფოლოცითგან ვიდრე რვალისა-ბჭედმდე. სამთვემდე დამყოვრდა ძვრა იგი.

ამ საშინელ მიწის-ძვრამ თავზარი დასცა მთელს კონსტანტინოპოლს და იმპერატორი ცრემლით და ლიტანიით ევედრებოდა ღმერთს ასრე:

„გვიხსენ ჩვენ, უფალო, სამართლად რისხვისა შენისაგან და ცოდვათა სიმრავლისაგან სინანულისა მიერ, რამეთუ შეარყიე ქვეყანაი და შეაძრწუნე იგი უსჯულოებათა ჩვენთათვის. და გადიდებთ შენ მხოლოსა და კაცთმოყვარესა ღმერთსა ჩვენსა.“

741 წ. 26 აგვ. (იმავე წიგნში) „ამასვე დღესა ხსენება დიდისა ძვრისა, რომლისაგან, გარეგან სასოებასა, გვიხსნნა ღმერთმან. რომელი იქმნა სოფლის დაბადებიდგან ექვს ათას ორას ორმეოცდა მეცხრესა წელსა მოქცევასა გზისასა ხუთსა, სათვალავსა მთვარისსა ათექვსმეტსა, ინდიკტიონსა მეცხრესა. ეს მეცხრე ინდიკტიონი ხვდება სწორედ 6249 წელს დასაბამიდგან და 741 წელს ქრ. აქეთ (ასრეა თვით ბატონიშვ. ვახუშტის ქვინკლოსითაც, რომელიც სრულად გადმოვწერეთ და დასაბეჭდად დავამზადეთ).

1088 წ. აპრილის 16 აღდგომა დღეს (ქართლ. ცხ. გვ. 239): „აღდგომასა მეუფისასა..., მოხედნა რისხვითა უფალმან ქვეყანასა და შეძრა იგი საფუძვლითურთ ესეოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი სასტიკნი მყარნი სახედ მტვერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღვეს, ეკლესიანი*) დაეცნეს, სახლნი დაინთქეს და დაზელეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა. თმოგვიცა (თმოგვი ქალაქი ჯავახეთისა) დაიქცა და დაიპყრა ქვეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ, და განგრძელდა ესევითარი რყევა ქვეყნისა საშინელი განსრულებამდე წელიწადისა“.

1283 წ. (იქვე, 415): მოიწია ვნებისა კვირიაკე. დღეს ოთხშაბათს შეიძრა მძაფრად ქვეყანა. კვალად ხუთშაბათს მცირედ შეიძრა ქვეყანა, დაყუდდა და აღარა იქმნა. მოიწია შაბათი და იქმნა სამ ჟამადმდე დღე, რისხვით მოჰხედა ღმერთმან ქვეყანასა, საფუძველითურთ შეარყია და შეიძრა ქვეყანა. დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი. ეკლესიანი, ციხენი სახლნი და შენობანი მოოხრდეს. მთანი და ბორცვნი მაღალნი დაზელეს, კლდენი სახედ მტვერისა დაიმალნეს. მიწა განიპო და წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიჩრა. ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან. საყდარი აწყურისა დაიქცა. ყოვლად წმიდა აწყურის ღვთის მშობელი დატახიათობით შესვენებული საშუალ საყდრისა ესვენა. გუმბათი ჩამოიჭრა და, ვითარ ქუდი კაცისა, ისრეთ თავსა დაერქვა. ესე რისხვა სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თვისა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხვა არა სადა ევნო. მცხეთას საყდარიც დაიქცა. სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა. და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაურღვეველი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო„.

1721 აპრ. 16 (იხ. „აღწერა“ ე. თაყაიშვილის წიგნში „Матеріалы для исторіи Грузіи“): „თავრიზის რომელიმე ადგილი ჩაძვრა საშინელის ძვრისაგან. აპრილის ივ.“

1742 აგვისტოს 5, შაბათს: „იქმნა ძვრა საშინელი ერთსა შინა დღესა ექვს გზის და კახეთის სამეფოსა შინა ჰორველი სამღვდელმთავრო ალავერდის ეკლესია დაიქცა და დიდის სოფელიც დაიღუპა. მთვარის ოთხს.

ვახუშტით (ქართლ. ცხ. 144): „შეძრა ქვეყანა 1742 წ. და დაირღვა და შემუსრა ალავერდის ეკლესია, კვალად ციხე ხოდაშნისა“.

პაპუნა ორბელიანით (ქართლ. ცხ. 353): „ქორონიკონი იყო ულ (1742 წ.), თვე იყო აგვისტო. შეიქმნა ძვრა საშინელი. ორმოცი დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა. დიდი საშინელება შეიქმნა. ქვეყანა რყევისაგან არღარა დადგა. კახეთს ალავერდის საყდარი დაიქცა, ლალისყურის და ახმეტის ციხეები ორივ დაიქცა, იალბუზის მთები ბევრს ალაგს გარდმოიქცა და მრავალი სული მსახლობელი კაცი ქვეშ მოიტანა. ქართლშიაც მრავალი შენობა დაიქცა. თითონ მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ, ვითაც ღვთის სავედრელნი იყვნენ და ტრფიალ ზნეთა სურვილისა, ეგრე გულმხურვალე ქვეითნი მოიარნეს, გულმდუღარედ, თვალცრემლოვან, და მოილოცნეს წმ. ადგილნი და ევედრებოდეს ღმერთსა მეუდრობასა ქვეყანისასა. აგრეთვე ქართლში იყო ყოველგან ტირილი და ვედრება ღვთისა წინაშე.“

წარსულს საუკუნეში მიწის ძვრა იყო რამდენჯერმე და უფრო საზარელი ნახიჩევანში (20 ივლ. 1840 წ.), შამახიაში (1848—1849 წ. 10 ივლ.), იქვე და არზრუმს (მაისს 1859 წ., 1869 წ. და 1872 წ.), და ამ მიმავალ საუკუნის ჰირველი ძვრა-კი 31 იანვარს, რომელმაც აუარებელი სული იმსხვერპლა და მთელი ქალაქი შამახია ძირს დასცა და ქვის ყორედ აქცია.

წმ. ნინო ამბობს (შატბერდის კრებული, გვ. 38): „ოდეს შეძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღვასა შინა, შეძრის ყოველი ქვეყანა, ვიდრემდის დაირღვიან მთანი მყარნი და კლდენი“.

სჩანს, წმ. ნინოს დროსვე ჩვენს ერში გავრცელებული ყოფილა რწმენა, რომ, ვითომ ქვეყანა დამყარებულია ვეშაპზედ და ამ უკანასკნელის მოძრაობა აჩენს მიწის ძვრასაო.

მ. ჯანაშვილი.

დაბა და სოფელი

ქვიანი (გურია). ამ ხუთის წლის წინად, როგორც ჩვენში ისე ახლო-მახლო სოფლებში, ალაპარაკდნენ „წაბურვიანი“ ტირილის მოსპობის შესახებ. უმეტესობამ ყურადღების ღირსად სცნო ეს ჩვეულება და კიდევაც მოსპო. ამით, რა-კი შემწეობა აღარ იყო, რა თქმა უნდა, ის ჰქონდათ სახეში, რომ მიცვალებულის დასაფლავების დროს ხარჯი შემცირდებაო.

ბევრგან კა ხანია შესამჩნევად შეამცირეს ასეთი ხარჯი, მაგრამ ჩვენს სოფელში ისევ წინანდელი ჩვეულება სუფევს, რომლის ძალითაც ჭირის-უფალი, მდიდარია თუ ღარიბი, ვალდებულია მიცვალებულის დასაფლავების დღეს გაუმასპინძლდეს მეზობლებსა და ნათესავებს. ეს, რასაკვირველია, ბევრ ჭირის-უფალს გაუძნელებს საქმეს და კა ძალ ვალს მოახვევს კისერზედ.

ჩვენში ბევრი გრძნობს დღევანდელის ხარჯიან ტირილის უსაფუძვლობასა და უსარგებლობას, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა ძნელია ერთხელ გამაგრებულის ჩვეულების გადაგდება. ერთმანეთის წაბაძვით მისი დარღვევა ყველას ეშინია: ეზარება; გამამტყუნებენ, დამძრახავენ, იტყვიან: „უწამკოდ ჩაგდო მიცვალებული მიწაშიო“.

საჭირო იყო ჩვენში ხარჯის შემცირების მაგალითი ეჩვენებინა უფრო შეგნებულს, დაწინაურებულს და, სხვასთან შედარებით, ნივთიერად უზრუნველ-ყოფილს და სწორედ ასეც მოხდა.

ამ დღეებში გარდაიცვალა აქაური აზნაური ყათრან ედემის ძე ართმელაძე, რომელიც დიდს მზრუნველობას უწევდა ეკკლესიას, აგრეთვე თანაგრძნობით ეპყრობოდა ყოველს საზოგადო სასიკეთო საქმეს და შეძლებისადაგვარად შემწეობას არ იშურებდა.

განსვენებული და მისი ძმები იმ აზრისანი იყვნენ, რომ ვისაც-კი ღონე შესწევს, ის ხარჯი, რომელიც მოუნდება მიწვეულ მეზობლების გამასპინძლებას, უმჯობესია მოჰხმარდეს საზოგადო სასარგებლო საქმეს. ამიტომაც მიცვალებულის დასაფლავების დღეს მისმა ძმებმა მოიწვიეს სადილზე მხოლოდ შორიდამ მოსული ნათესავები და ხარჯის ასეთის შემოკლების გამო მიცვალებულის მარადის მოსახსენებლად შესწირეს ქვიანის ეკკლესიას 100 მანეთი და ნიგოითის უფასო სამკითხველოს 25 მანეთი. სასურველია, სხვებმაც მიჰბაძონ ამათ.

მღვდ. თეოფანე კალანდარიშვილი.

ნარკვევი.

ჟურნალ „კავკ. ვესტნ.“-ში მოთავსებულია, სხვათა-შორის, ალ. ხ—ის წერილი ტფილისის სომხურ თეატრის შესახებ. სომხური თეატრი ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება დღეს, მაგრამ ავტორის აზრით,

მისდამი ინტერესი არ გამქრალა, იგი არ დაღუპულა და ხელშემწყობ გარემოებაში შეუძლიან განვითარდეს. ყველაზედ უწინარეს აღვნიშნავთ, რომ სომხურს თეატრს ჰყავს თავისი მუდმივი საზოგადოება—საშუალო და დაბალი კლასები, იაფ ადგილების და სახალხო თეატრის საზოგადოება, რომელიც ყოველთვის სიამოვნებით ესწრება სომხურს წარმოდგენებს. რასაკვირველია, ეს საზოგადოება „არტისტულ საზოგადოების“ და ოპერის საზოგადოება არ არის, რომელიც ჰბრწყინავს თავისს ტანისამოსით და ბრილიანტებით. ამ საზოგადოებისათვის სომხური თეატრი არ არის საჭირო: ეს მეტად სამწუხარო ფაქტია და გვიმტკიცებს, რომ ჩვენს ბურჟუაზიას აკლია ის ელემენტები, რომელნიც სხვა ერთათვის თვითცნობიერების საფუძველს შეადგენს. მაგრამ ასეთი გულგრილობა სომხურ ბურჟუაზიისა სამშობლო თეატრისადმი ფაქტია და მის უარყოფა არ შეიძლება. მხოლოდ ძალა-უნებურად უნდა ვიკითხოთ: ნუ-თუ ამ გარემოებით რამე შიში მოელის სომხურს თეატრს? უეჭველია, არა. არ შეიძლება ასე ლაპარაკი, რომ თუ კეთილ ინებებს ბურჟუაზია, იქნება თეატრი, არ ინებებს და არ იქნება. თეატრის საქმე არ უნდა იქმნეს დამყარებული ბურჟუაზიის მოწყალებაზე, არამედ საზოგადოების სანდო ელემენტების თანაგრძნობაზე და ხალხის შეგნებულ საჭიროებაზე. ერთიც და მეორეც აქვს დღეს სომხურს თეატრს...

ქართულს თეატრსაც სრულებით არ უნდა ჰქონდეს სხვისი იმედი, თუ არა ხალხისა. ჩვენმა არისტოკრატიამ კარგა ხანია ზურგი შეაქცია ქართულს წარმოდგენებს. აბა, როგორ ეკადრება მას ასეთი უბრალო გასართობი?! დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა უკვე შეიგნო ესა და ხალხისკენ მიიწია. მაგრამ აუცილებელია ხალხთან კიდევ უფრო დაახლოვება. ნურავინ იფიქრებს, რომ 1 მან. და 50 კაპ. ადგილები ყველასთვის ხელ-მისაწვდომი იყოს, საჭიროა დრო-გამოშვებით მაინც 5—20 კაპ. წარმოდგენების გამართვაც.

—

როგორც ამავე ჟურნალში მოყვანილ ცნობებიდგან სჩანს,

ევროპაში 230 სომეხი სტუდენტი ყოფილა; მათ რიცხვში გერმანიაში 61 კაცი, შვეიცარიაში—31, ბელგიაში 5, დანარჩენები სწავლობენ საფრანგეთში. გერმანიაში და შვეიცარიაში მოსწავლენი უფრო რუსეთიდგან არიან, საფრანგეთში-კი—ოსმალეთიდგან. უცხოეთში მიდიან არამც თუ უტესტატონი, არამედ საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნიც.

უცხოეთი

გერმანია. ყველაზედ მეტ უკმაყოფილებას მთავრობის ახალ საბაჟო პროექტის გამო ეხლა აგრარები აცხადებენ. აგრარები იმაზედ ბევრად უფრო მეტ გადასახადის შემოღებას თხოულობენ, ვიდრე პროექტშია აღნიშნული. მათ ნაციონალ-ლიბერალები და ცენტრიც მიიმხრეს თურმე. ამ რიგად რეიხსტაგის უმრავლესობა დიდ გადასახადების შემოღებას თხოულობს. მთავრობის პროექტით, მაგალითად, საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ პურს 5 მარკა უნდა დაედოს; აგრარები და იმათი მომხრეები-კი 6 მარკას თხოულობენ. ამბობენ, მთავრობა ვერაფერს გააწყობს მემამულეების წინააღმდეგო. მემამულენი დიდ მზადებაში არიან თურმე: კრებებს ჰმართავენ, ცხარე სიტყვებს ამბობენ, მუქარას უცხადებენ მთავრობასა და სოციალისტებს. ამას წინად „სოფლის მეურნეთა კავშირის“ კონგრესიც მოხდა. სოფლის მეურნეთა ასეთი კონგრესი ყოველ წელიწადს იმართება, მაგრამ იმოდენა ხალხი, რამდენიც ეხლა შეკრებილა, ამ კონგრესზედ არავის უნახავს. უზარმაზარი ბუშის ცირკი, სადაც ეს კონგრესი მოხდა, სავსე იყო. „ღარიბი“ მემამულენი გერმანიის თითქმის ყველა კუთხიდგან შეიკრიბნენ. 8,000 კაცზედ მეტმა მოიყარა თავი. შეჰხვდებოდით ამ კონგრესზედ მდიდარ მემამულესაც, შუა შეძლებისასაც, გლეხსაც. ამ სანახავმა ისეთ ალტაცებაში მოიყვანა აგრართა გაზეთი „Deutsche Tageszeitung“-ი, რომ კონგრესს მთელი ფელეტონი უძღვნა, რომელშიაც პოეტურად აღწერა სოფლელ სტუმართა ყრილობა. სოფლის მეურნეს, სწერს ეს გაზეთი ალტაცებული, ვაგონიდგან გამოსვლისავე იცნობთ: ძალ-ღონით სავსე აგებულება, წითელი ლოყები, დინჯი სიარული, სერიოზული გამომეტყველება—აი, გარეგანი თვისებანი სოფლელ სტუმრებისა. დაღლილ და გამხდარ ქალაქელებთან სოფლის მეურნენი მდევებად მოსჩანან.

და აი, ეს მდევები, ეს ძალ-ღონით სავსე და წითელ ლოყებიანი სოფლელნი უჩივიან თავიანთ შევიწროვებულ და გაჭირვებულ მდგომარეობას. ამ თემაზედ კონგრესის წევრებმა ძალიან ბევრი ილაპარაკეს. სიტყვები წარმოსთქვეს მემამულეთა საუკეთესო ორატორებმა. პირველად ილაპარაკა მეურნეთა კავშირის პრეზიდენტმა რეზიკემ, რომელიც ძალიან უჩიოდა ბიულოვის გულგრილობას სოფლის მეურნეთა საქმეში. შემდეგ ბარონ ვანგენჰეიმმა წარმოსთქვა სიტყვა. „იმპერატორი! წარმოსთქვა ბარონმა, აი, ვის უნდა მივმართოთ, აი, ვინ არის ჩვენი იმედი! მაგრამ თუ მაცდურმა და ბნელმა ძალებმა იმპერატორის გული გლეხთა გაჭირვებას მოარიდეს, მაშინ ბრძოლა აუცილებელი იქნება. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, უწყის მხოლოდ ჩვენმა ზეციერმა მოკავშირემ (ე. ი. ღმერთმაო)“. შემდეგ „შევიწროვებული“ ბარონი მთავრობას შეეხო. „როდის გაიგებს მთავრობა, რომ საბაჟო პროექტის საწინააღმდეგო აგიტაციის ავან-ჩავანნი სოციალ-დემოკრატნი არიან? როდის მიჰხვდება, რომ ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ან სოციალ-დემოკრატნი, ან ჩვენ უნდა დაგვემყაროს მთავრობა, ან მათ?“ უფრო ცხარე სიტყვა წარმოსთქვა მესამე ორატორმა განმა. განმა ყველას მოსცხო: ახლანდელ და წინანდელ მინისტრებს, სოციალ-დემოკრატებს, ლიბერალებს. „სოფლის მეურნეთ, გლეხთ (?) მფარველი და დამხმარებელი არავინა ჰყავთ. სოფლელნი რომ არ გაერთიანებულიყვნენ თავიანთ ინტერესების დასაცველად, რამდენისამე წლის შემდეგ სოფელი სრულიად გაკოტრდებოდა. რა დაემართებოდა მაშინ ჩვენ სამშობლოს? გერმანია პროლეტართა და მათხოვართა ქვეყნად გადაიქცეოდა; გაჰქრებოდა მესამე წოდებაც. აი, ძმებო, ამიტომაა ჩვენი ბრძოლა დიდებული!.. ჩვენ ვთხოულობთ უფლებას ცხოვრებისას და ამით სამშობლოს ვიხსნით (?) გაკოტრებისა და ებრაელთა და უცხო-ქვეყნელთა მიერ დაპყრობისაგან“. მეტად ცხარედ ილაპარაკა აგრეთვე ზიმმერმანმა.

„მევახშენი,—სთქვა იმან,—ჩვენ-კი არა, აი, ის კაპიტალისტები და აფერისტები არიან, რომელნიც აქვე, ჩვენს პირ-და-პირ (ბირჟაზედ) იკრიბებიან. ჩვენ უნდა უარ-ვჰყოთ მთავრობის პროექტი, რომელიც უფრო ზარალს მოიტანს, ვიდრე სარგებლობას. წინააღმდეგ ბებელისა, რომელსაც ღმერთი არა სწამს, მე ვამბობ: დეე, უჩვენოს უფალმა კეთილი და ნამდვილი გზა იმათ, ვის ხელშიაც ჩვენი ბედია.“

ავსტრო-უნგრეთი. ტრიესტში 1 თებერვალს ადგილობრივმა მუშებმა პირი შეჰკრეს და მუშაობა აღკვეთეს. გაფიცულთა რიცხვი 10,000 კაცამდე ავიდა. პირველად ერთის საზოგადოების მუშები გაიფიცნენ, შემდეგ

---

*) ძველს ნაწერებში ეს სიტყვა იწერება „ეკლესიად“ და არა „ეკკლესიად“.

ფელეტონი

გაბრიელ დ'ანუნციო

და

დღევანდელი იტალია.

გაბრიელ დ'ანუნციო,—ეს ნერვებ-დაჭიმული, უზომოდ გრძნობიერი, მხატვრულისა და შემოქმედობის ნიჭით ალსავსე, მეჭვრ-მეტყველი, პოეტობით-მოსილი და ყოველ ამასთან ხორცთ-დატკბობის მოტრფიალე მწერალი, აგერ სრული ათი წელიწადია ბატონობს იტალიის ლიტერატურაში და აღელვებს ხალხის ჭკუა-გონებას ალპების ამიერ და იმიერ. ამიერაო, ვამბობთ იმიტომ, რომ მისნი რიცხვ-მრავალნი მომხრენი და თაყვანის-მცემელნი იტალიის გარეშეც სცხოვრობენ. ამ მართლა დიდად ნიჭიერ მწერალის სალიტერატურო მოღვაწეობა ასე თუ ისე ახასიათებს იტალიის დღევანდელს საზოგადოებასაც და ნიშანდობლივ აღნიშნავს, რაოდენ უგზო-უკვლოა იგი საზოგადოება ყოველ იმ საქმეში, რომელიც შეეხება ეთიკასა და ლიტერატურას.

ოდესმე იტალია განთქმული იყო მით, რომ გარკვეულისა და ფხიზელის აზრისა იყო ცხოვრებაზედ. მისნი მწერალნი და პოეტები გულ-კეთილობით, სასო-წარუკვეთელად უყურებდნენ ცხოვრებას. მაშინ მისი პოეზიაცა და ხელოვნებაც ნამდვილი გამომხატველი იყო იტალიის ერის საღის სულისა. იტალიელნი ახლაც ტრაბახობენ თვისის senso umano-თი, ვითომ ახლაც კარგად და გარკვევით გვაქვს შეგნებული ბუნება ადამიანისაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა მათმა მოწინავე კაცმა და მათთან ერთად განათლებულ საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა უარჰყო ეს senso umano და ყველა მათგანი ჰრჩეობს უფრო სნეულ გულის-თქმასა, გადაჭარბებულ ვნებასა და თვალს არიდებს ნამდვილს, საღს ხელოვნებასა.

გაბრიელ დ'ანუნციომ დასწერა მრავალი რომანი და დრამა და იშვიათის ხელოვნებით დაასურათა უცნაური, არა ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებისათვისაც არ არსებობს ჩვეულებრივი ეთიკა და ზნეობა. ამ ადამიანებს, ანუ გმირებს ჰგონიათ, რომ ჩვენ ბრბოზედ მაღლა ვდგევართო და ნეტარებად მიაჩნიათ წვალება და წამება საკუთრად თვისისა და სხვათა სულისა. „ზე-კაცი“ ნიცშესი იდეალია გაბრიელ დ'ანუნციოსათვის და ყოველი ნიშნობლივი თვისება და უცნაურობა ამ შესაძლებელისა, მაგრამ ფრიად იშვიათის ტიპისა სჭირს ყველა მის მოთხრობათა და დრამების უმთავრესს გმირს. ეს გმირნი გულისთქმითა და ვნებათა ღელვით სავსე, გადაჭარბებულ გრძნობიერობით გამსჭვალულნი ეგოისტები არიან, არისტოკრატიზმის ბეჭედი აზით, არა-ჩვეულებრივ ადამიანებსა ჰგვანან და ან პოეტის ზნე სჭირთ, ან ხელოვანის მხატვარისა, ან შუა საუკუნეთა დიდებულისა, ძველებურის კარის-კაცისა.

მეორე იდეალი დ'ანუნციოსი არის საზოგადოდ ხელოვანი კაცი, დიდი ოსტატი და უმწვერვალესად გამოცდილი ადამიანი, ესე იგი ისეთი კაცი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ოსტატურს სიტკბოებას ეძებს, განმახვილებულს დატკბობას ეტრფის და ამიტომ განგებ უარ-ჰყოფს ყოველს ისეთს გრძნობას, რომელსაც შეუძლიან ხელი შეუშალოს, დაბრკოლება აღმოუჩინოს, როცა ამ, თვისის აზრით, უმაღლესს ნეტარებას ეწაფება. სხვათა-შორის, ასე უარყოფილია გრძნობა სიყვარულისა და შებრალებისა,—ეს მართლა ყოვლად წმიდა და მადლიანი გრძნობანი!

ეს ორი ტიპი ხშირად ერთ ტიპად შედუღდება ხოლმე და მაშინ გამოდის ნამდვილი დასახიჩრება და გახეიბრება ადამიანის ბუნებისა. აგერ ათ წელიწადზედ მეტია ჰქადაგებს გაბრიელ დ'ანუნციო ამ თავისს უცნაურსა და ბუნების საწინააღმდეგო ფილოსოფიას და, რა-კი დაინახა, რომ არა თუ მისნი მომხრენი აღარა მრავლდებიან, არამედ კრიტიკა იტალიაშიაცა და საზღვარ-გარედაც სასტიკად ჰგმობს მისს ზნეობის წინააღმდეგს აზრებს, აიღო და მიჰმართა ახლა იტალიის შუა-საუკუნეთა ცხოვრების აღდგენას, დასურათებას, ამას ხომ აღარ მიზრახვენ, მაშინ ხომ ხშირი იყო ზნეობის გმობაო.

მისი მოუსვენარი სული უქმად ვერ დადგება და აი, გაბრიელ დ'ანუნციომ შეჰქმნა ახალი დრამა Francesca da Rimini (ფრანჩესკა რიმინიელი). მთელი განათლებული ქვეყანა მოუთმენლად ელოდა ამ დრამას. პირველად რომ წარმოადგინეს რომში, საზოგადოება დიდის ტაშის ცემითა და თან დიდის სტვენითაც მიეგება.

ამ დრამის არაკად აღებულია ის უბედური სიყვარული ფრანჩესკასი და პაოლოსი, რომელიც მთელმა განათლებულმა ქვეყანამ იცის დანტეს „ღვთაებრივის კომედიიდგან“. არაკად ეს ამბავია აღებული, მაგრამ დიდმა ხელოვანმა დ'ნუნციომ ახალი ვერა მიუმატა ამ ამბავს და პიესის სრულიადი ინტერესი დამყარებულია მხოლოდ შუა-საუკუნეთა ზნე-ჩვეულებისა და ცხოვრების დასურათებაზედ. ამ მხრივ, დიალაც რომ ყველაფერს ატყვია დიდებულის მწერლის კალამი და პოეზია, რომელიც დრამის ყველა ეპიზოდში სდუღს და გადმოდის, რასაკვირველია, დიდად აძლიერებს შთაბეჭდილებას ამ ორის გულის მართლა სვე-უბედურის ამბისას.

იდეალი არ არის ცხოვლად აღდგენა დიდის ხნის წარსულის ცხოვრებისა, თუმცა იტალიის ლიტერატურაში მრავალი ჩინებული გამოკვლევა მოიპოვება დანტეს დროისა.

პირველი მოქმედება სწარმოებს ფრანჩესკას მამის სასახლის ბაღში. მზადებაა, რომ ჯვარი დასწერონ ფრანჩესკას რიმინის ჰერცოგის მახინჯ უფროს შვილზედ. საუცხოვო სცენები, მაშინდელ საზოგადო და სამეფო კაცის ცხოვრებისა რიგ-რიგით მისდევს ერთმანერთს. ქორწილი გაჩაღებულია და ფრანჩესკა მხოლოდ მეორე დღეს იგებს, რომ სასტიკად მოტყუებულია, რადგან ლამაზისა და სულით მაღალის პაოლოს მაგიერ შეჰრთეს ქმრად მისი მახინჯი და მაიმახი, გულ-ქვავი უფროსი ძმა. საკუთრად აქედან იწყება დრამაცა.

მეორე მოქმედებაში უფრო მატულობს სხვა-და-სხვაობა და უცხო სანახაობა სურათებისა. სცენაზედ პატარა ომიც-კი იმართება სწორედ შუა-საუკუნეთა ხასიათისა. შემდეგს სურათში წარმოდგენილია მე-13 საუკუნის დედათა ცხოვრება. აქ, სასახლის დედათა განყოფილებაში, ვხედავთ გაბრწყინვალებულს ფრანჩესკოს, რომელსაც გარშემო ახვევია თავისი მოახლენი და პირის-ფარეშნი. არის გამართული ცეკვა-თამაშობა და მუსიკა განუწყვეტლივ უკრავს სხვა-და-სხვა ხმას. მოსიარულე მუტრიბნი და მესტვირე-მესაკრავენი, აგრეთვე მკითხავნი და ბედის-გამომცნობელნი მოდიან და სთხოვენ ფრანჩესკას, გვიბრძანეთ და ჩვენს ხელოვნებას გამოვაჩენთ თქვენს წინაშეო.

ყველაზედ უფრო ძლიერად ჰმოქმედობს მაყურებელზედ მესამე მოქმედება. აქ არის იი საუცხოვო სცენა, რომელშიაც უცხადებენ ერთმანერთს სიყვარულს ფრანჩესკა და პაოლო. ეს სცენა აწერილია დანტეს „ჯოჯოხეთის“ მეხუთე საგალობელში და ასე იწყება:

„Noi leggevamo un giorno, per diletto,
Di Lancilotto, come amor lo strinse“...

(ვკითხულობდით ერთხელ გასართობად ლანჩილოტტოს ამბავსა, თუ ვითარ შეიპყრა იგი სიყვარულმაო *).

---

*) ფრანჩესკა და პაოლო და-რიმინის სიყვარულის ამბავი იტალიამ, შვიდი საუკუნეა, ზეპირად იცის. ეს მიჯნურნი ისევე განთქმულნი არიან, როგორც საფრანგეთის აბელარ და ელოიზა, სპარსეთის ლეილა და მიჯნუნ და ჩვენი ტარიელ და ნესტან-დარეჯან. აი, იტალიელ მიჯნურების ამბავი, რომელიც მრავალმა პოეტმა, მხატვარმა და მემუსიკემ თავისს თხზულების სიუჟეტად გამოიყენა.

რავენის ბატონმა გვიდო და-პოლენტამ მიათხოვა თავისი ქალი ფრანჩესკა რიმინის მთავარს ლანჩიოტოს, კოჭლსა და მახინჯს. საუბედუროდ, ქალს უყვარდა ქმრის უმცროსი ძმა პაოლო, იტალიის რაინდთა შორის უშვენიერესი და უგულადესი. ძალად გათხოვილმა ფრანჩესკამ ვერ დასთმო თავისი პირველი გულის-თქმა, და ერთხელ, ქმარმა რომ თავისს ცოლს პაოლოსთან ერთად მყოფს შეასწრო, ორივენი ერთის მახვილის დაცემით მოჰკლა. საყვარელნი ლანჩელოტოს მიჯნურობის ამბის კითხვამ დაღუპა.

დანტემ, ფრანჩესკას და პაოლოს თანამედროვემ, გამოიყვანა ეს უბედურნი მიჯნურნი თავისს „საღმრთო კომედიაში«. პოეტი გვიხატავს ჯოჯოხეთის ზემო წრეს, სადაც მეძავნი იტანჯებიან, სადაც და-

სხვებიც მიემატნენ. სამრეწველო დაწესებულებანი დაკეტეს, ტრამვაის მიმოსვლა შეაჩერეს. გაზეთებიც-კი არ გამოსულა, რადგან ასოთ-ამწყობთაც აღკვეთეს მუშაობა. ყველა ქუჩაში ჯარი დააყენეს, საზოგადო სახლებს პოლიცია შემოარტყეს. ბრბოსა და ჯარს შორის ძლიერი შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც რვა მუშა მოჰკლეს და 30 დასჭრეს. საქმე ძალიან გამწვავდებოდა, ზემოხსენებულ საზოგადოებას რომ არ დაეთმო და არ დათანხმებულიყო რვა საათის მუშაობის შემოღებას. როდესაც ასოთ-ამწყობებმა ეს გარდაწყვეტილება შეიტყეს, მუშაობას შეუდგნენ. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მეორე დღეს მოკლულთა სახლებიდგან შავი დროშები გადმოჰკიდეს. შეკრებილმა ბრბომ მოითხოვა, რომ პირის-უფლებთან ერთად მთელმა ქალაქმა იგლოვოს. ამას ახალი შეტაკება მოჰყვა, რომლის დროსაც ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს. პოლიციამ გერციდგან 600 ჯარის-კაცი დაიბარა. ქალაქი შიშმა მოიცვა, განსაკუთრებით ბურჟუაზთა კლასნი შეშინდნენ. მაგრამ წინამძღოლთა მეცადინეობის წყალობით მუშებს არავითარი ძალ-მომრეობა არ უხმარიათ. 2 თებერვალსაც რამდენჯერმე მოხდა შეტაკება ბრბოსა და ჯარს შორის. მთავრობამ ამ დღეს სამხედრო დროის წეს-რიგი შემოიღო. ამავე დღეს შეიკრიბა ქალაქის საბჭო. საბჭომ გადაწყვიტა 10,000 მარკა გადასდოს მოკლულ მუშათა ოჯახების სასარგებლოდ. რეიხსტაგმა ერთის დეპუტატის წინადადებით გადასწყვიტა შეუდგეს ამ საქმის სასტიკ გამოძიებას. როგორც დეპეშამ გვაუწყა, 4 თებერვალს გაფიცულთ მუშაობა განაახლეს. სამხედრო დროის წეს-რიგის გარდა, მთავრობამ გააუქმა დროებით ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო და სამხედრო შემოიღო.

ბელგია. ბელგიაში დიდი მოძრაობაა. სოციალისტების აგიტაციამ საყოველთაო საარჩევანო სისტემის გამო მთელი ბელგია ფეხზედ დააყენა. დემონსტრაციები ყველგან იმართება; სხვათა შორის, დემონსტრაციები მეფის სასახლისა და პარლამენტის წინაც მოხდა. მეფე ლეოპოლდი ამ ჟამად ნიცცაშია, და ეხლა ბელგიაში მიეშურება თურმე. გაზეთების სიტყვით, პარლამენტი უარ-ჰყოფს სოციალისტთა წინადადებას. მთავრობა მაინც დიდს მზადებაშია. ამას წინად ნამიურისა, არლონისა და სხვა ქალაქებიდგან ჟანდარმები დაუბარებია. სოციალისტთა გაზეთი „Peuple“ აცხადებდა მაშინ, რომ მთავრობა ეხლა ტყუილად მიეცა შიშსაო. ნამდვილს მოქმედებას მაშინ შევუდგებით, როდესაც პარლამენტი არ შეიწყნარებს ჩვენს წინადადებას; ეხლა-კი დაგანახვეთ მხოლოდ, რომ ხალხის ფეხზედ დასაყენებლად საკმაოა ერთი სიტყვაო.

ინგლისი. ლორდ როზბერისაგან სალიბერალო დასის გაერთიანებას მოელოდნენ, მაგრამ უკანასკნელმა იმისმა სიტყვამ ყველას მოლოდინი დაუკარგა. გაერთიანების მაგიერ იგი უფრო ანაწილებს უიმისოდაც დაქსაქსულ ლიბერალებს. სალიბერალო გაზეთები თითქმის ერთხმად აცხადებენ, რომ ლორდ როზბერს ლიბერალთა შორის ადგილი აღარა აქვსო. „Daily News“-ი სწერს: „როზბერი კარგა ხანია ურჩევს სალიბერალო დასს, მიანებოს თავი წინანდელ პროგრამას და ახალი შეიმუშაოს. გუშინდელს სიტყვაში როზბერმა საბოლოოდ უარ-ჰყო ჰომრული. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ყოველსავე კავშირს მოსპობს ლიბერალებსა და როზბერის შორის. ეხლა კეთილშობილი ლორდი ლიბერალ-უნიონისტია. იმისი აზრი ჰომრულის შესახებ უნიონისტურია. დიდად ვწუხვართ, რომ როზბერი ასე მოიქცა. იმედი აღარა გვაქვს, რომ როზბერი როდისმე ლიბერალთა დასის მეთაურად გახდეს. იგი ცოტაოდენ სარგებლობას მოიტანს, როგორც კრიტიკოსი; პრინციპები როზბერისა გამოსადეგი აღარ არის„. კონსერვატორთა გაზეთები აღტაცებაში არიან როზბერის სიტყვით. უხარიანთ ის, რომ იგი ჰომრულს. გადაუდგა ამ გაზეთების სიტყვით, როზბერი ეხლა ლიბერალ-უნიონისტებს უფრო უახლოვდება, ვიდრე ლიბერალებს.

სასოფლო მეურნეობა.

ან. წულაძის წერილი და მამა ჯალიაშვილის განმარტება.

ბ-ნი ან. წულაძე თავისს წერილში (წარსულის წლის „ივერიის“ მე 276 №-ში), შეეხო ერთს საკითხს, მეფუტკრეებისათვის საყურადღებოს. წულაძემ გვაცნობა რამდენიმე თვისი დაკვირვება და გამოკვლევა, რომლითაც დაასკვნა, რომ „დედა ფუტკარი არ სდებს კვერცხს სადედო საკვერცხეში, არამედ, როცა ეს საჭიროა, მუშა ფუტკართ სამუშაო საკვერცხედგან გადააქვთ სამუშაო კვერცხი სადედოში და ამ რიგად დედის გაუგებრად და უნებურად გამოჰყავთ დედა“.

ეს აზრი მეფუტკრეობის მწერლობაში თუმცა ახალიც არ არის, მაგრამ მაინც რაკი იგი გამოკვლეული და შესაფერად დასაბუთებული არ იყო არავისაგან, ამიტომ მეფუტკრეობისაგან ჯერ-ჯერობით მიღებული არ არის, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა სახელმძღვანელოები ძველს აზრს იმეორებენ, ვითომც დედა-ფუტკარი თვითონ სდებდეს მომზადებულს სადედოში განაყოფიერებულს კვერცხს...

ჯერ ისევ 1899 წელს რუსმა მეფუტკრემ მ. კრილოვმა გამოსთქვა, რომ საფიქრებელია, დედა-ფუტკარი-კი არ სდებდეს სადედოში კვერცხს, არამედ მუშა ფუტკარს გადაჰქონდეს მომზადებულს სადედოში განაყოფიერებული კვერცხი, უბრალო, მუშა ფუტკრის საკვერცხეში ჩადებულიო. გამოსთქვამს-რა ამ მოსაზრებას, კრილოვი იწვევს მეფუტკრეებს, ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეთ, შეიძლება ამის უტყუარს საბუთს მივაგნოთო. (იხ. სტ. კრილოვისა: **„Закладываютъ-ли матки яички въ маточники,—не пчелы-ли исключительно этимъ занимаются“.** „Рус. Пчелов. Листокъ, 1899 г., стр.173).

ასეთსავე მოსაზრებას იმეორებს მეფუტკრე ბ-ნი სიტჩენკო (იხ. ჟურნალი „Пчела“. 1900 წ. გვ. 53—54).

მოხსენებულის მოვლენისა გამოსაკვლევად, მე ვაკვირდებოდი ფუტკრის ცხოვრებას და ამ დაკვირვებამ მიმიყვანა სწორედ იმ დასკვნამდე, რა დასკვნაზედაც დამდგარა ბ-ნი წულაძეც... მე აქ არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რა ფაქტებმა მიმიყვანეს ამ დასკვნამდე, არც ამ დასკვნის საზოგადო მოსაზრებით დასაბუთებას, არც იმას, თუ რა შედეგი მოსდევს მეფუტკრეობისთვის საკითხის ამნაირად გადაწყვეტას (ეს ერთ-ერთს სპეციალურ ორგანოში იქნება დაბეჭდილი),—მხოლოდ არ შემიძლიან რამცენისამე სიტყვით არ შევეხო მღ. ალ. ჯალიაშვილის „განმარტებას“ („ივერია“ № 25), რომელიც გამოწვეულია წულაძისავე წერილით.

მამა ჯალიაშვილი დაცინვის კილოთი იხსენიებს ზემო აღნიშნულის საკითხის შესახებ ან. წულაძის და არჩ. დარეჯანიშვილის *) შორის გამოწვეულს კამათს და ასე მიჰმართავს მოკამათეთ: „ბატონებო, ამერიკის აღმოჩენა გინდათ, მაგრამ ტყუილი ცდაა. თქვენ რომ ცოტა თავი შეგეწუხებინათ და გადაგეკითხათ წარჩინებულის მეფუტკრის ლ. ლანგსტროტის თხზულება მაინც „ფუტკარი და სკა“, ეგ თქვენთვის გამოურკვეველი საგანი ნათელი იქნებოდაო.“ შემდეგ მოჰყავს თვით ლანგსტროტის სიტყვები (რომლებსაც ჩვენ ცოტა ქვევით მოვიხსენიებთ) და ბოლოს დასძენს: „აქედგან, ბ-ნო წულაძე, ცხადია, რომ თქვენ კი არა, წინადვე გამოკვლეული ყოფილა სხვა ნასწავლ მეფუტკრეთაგან, რომ თვითონ დედა-კი არ სდებს განგებ სადედო კვერცხებს, არამედ განაყოფიერებულ კვერცხიდგან ფუტკრებს თავად გამოჰყავთ დედა“.

ჯერ ერთი,—არა რომელიმე შეგნებული მეფუტკრე და არც ან. წულაძე, არ ამტკიცებს, რომ დედა-ფუტკარი განგებ სადედო კვერცხებს სდებდეს. ეს ხომ იმ ყოვლად შეუსაბამო აზრის დამტკიცება იქნებოდა, ვითამც დედა-ფუტკარი სამჯურა კვერცხებს სდებდეს...

მერმე დავარწმუნებთ პატივცემულს მამა ჯალიაშვილს, რომ თუ ეს საკითხი ან ლანგსტროტს და ან სხვა რომელსამე მეფუტკრეს ზედმიწევნით ახსნილი და შესაფერად დასაბუთებული ჰქონდეს, მაშინ ეს აზრი საზოგადოდ ყველა მეფუტკრეებისაგან მიღებული იქნებოდა, ნამდვილად-კი ეს ასე არ არის. თუ შრომას მიიღებს მამა ჯალიაშვილი და გადაჰფურცლავს, ვისიც უნდა ენებოს, თხზულებათ პროფ. ცესელსკიდგან დაწყებული (**«Пчеловодство, основанное на наукѣ и многолѣтней практикѣ“**—გვ. 82), ამ ბოლოს დროს დაბეჭდილ ივ. ტრუბნიკოვის წიგნამდე („Руководство для русскихъ пчеловодовъ“ გვ. 59), მაშინ დარწმუნდება, რომ ყველანი იმ აზრს იმეორებენ, ვითამც თვით დედა-ფუტკარი დასდებს ხოლმე კვერცხს დამზადებულს სადედოში.

ეხლა გავსინჯოთ, როგორა აქვს ახსნილი ლანგსტროტს ზემოხსენებული საკითხი. პირველად ლანგსტროტი აღნიშნავს, რომ ჯერ ნამდვილად ცნობილი არ არის რა ნაირად ხდება სადედოში კვერცხის ჩადებაო (ეს სიტყვები მამა ჯალიაშვილს არა აქვს მოყვანილი თავისს ციტატაში). ჩვენ-კი ვფიქრობთ,რომ (მოგვყავს მამა ჯალიაშვილის თარგმანით) „დედა თავისუფალ უჯრების უქონლობის გამო სდებს კვერცხებს დაწყობილს, ჯერ ისევ დაუმთავრებელს უჯრებში და, როგორც შემინიშნავს, ასე ჩადებულ კვერცხების ირგვლივ თვითონ ფუტკრები აკეთებენ სადედოებს. ინსტინქტიური სიძულვილი დედისა თვის მეტოქისადმი (დედისადმი) იმდენად ძლიერია, რომ წარმოსადგენადაც ძნელია დედის მხრივ განდ ერთის ნაბიჯის გადადგმა თვისის მეტოქის სასარგებლოდ“ (ხაზი ჩვენი გასმულია).

აი, ამას ამბობს ლანგსტროტი ჩვენის საკითხის შესახებ და გამოსთქვამს ამას გადაჭრით და დამტკიცებით-კი არა, არამედ როგორც მარტო-ოდენ თვისს მოსაზრებას.

ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ ლანგსტროტის მოსაზრება სიმართლესთან დაშორებულია და, მაშასადამე, უსაფუძვლო და შეუწყნარებელი. ჯერ ერთი,—სადედოს გარშემო დაუმთავრებელს სამუშაო საკვერცხეებში ყოველთვის არ არის ხოლმე კვერცხები (რასაკვირველია, ვგულისხმობთ აქ იმ დროს, როცა სადედოში უკვე არის ხოლმე კვერცხი ანუ მატლი).

მეორეც ისა, რომ თუ-კი მოსაზრება ლანგსტროტისა საფუძვლიანი იყოს, ესე იგი თუ სადედოს ფუტკრები უთუოდ უკვე დადებულს კვერცხზედ აშენებენ (სამუშაო ფუტკრის საკვერცხის გადიდებით), მაშინ ხომ უეჭველად ყველა სადედოში, მის კეთების დაწყებიდგანვე, უთუოდ კვერცხი უნდა იყოს ხოლმე შიგ, და სადედო საკვერცხე უკვერცხოდ შეუძლებელი მოვლენა იქმნება სკაში. მაგრამ, განა, ეს ასეა? ნუ-თუ მამა ჯალიაშვილს არ უნახავს სკაში ახლად დაწყებული და ან ნახევრად უკვე აშენებული სადედო, რომელშიაც ჯერ არ ყოფილიყოს ჩადებული კვერცხი? დარწმუნებული ვარ, მრავალჯერ ენახვება, და ეს გარემოება-კი საფუძველს აცლის ლანგსტროტის მოსაზრებას, რომელიც მამა ჯალიაშვილს უტყუარ, დასაბუთებულ ჭეშმარიტებად მიუღია და ამ ჭეშმარიტებით შეიარაღებული თამამად უკიჟინებს სხვებს: საკითხი უკვე ახსნილია, ამერიკის აღმოჩენა ტყუილი-და ცდააო.

მკითხველიც ჰხედავს, რომ საკითხი ჯერ კიდევ ახსნილი არ არის და ყოველივე ცდა მის ასახსნელად ტყუილი არ იქმნება. ვურჩევთ თვით მამა ჯალიაშვილს, დაუკვირდეს ამ საკითხს,—იქმნება თვითონაც იმ დასკვნამდე მივიდეს, რომელ დასკვნამდისაც მისულა წულაძე და ჩემმა დაკვირვებამ მიმიყვანა.

რაც შეეხება ლანგსტროტის ზემოყვანილ სიტყვების ბოლო სტრიქონებს (ჩვენ მიერ ხაზგასმულებს), ისინი უფრო ჩვენს აზრს ამტკიცებენ და სახელდობრ იმას, რომ დედა-ფუტკარი არ სდებს სადედოში კვერცხს, რომ სხვა, თავისი მეტოქე, დედა-ფუტკარი არ გაიჩინოს სკაში, არამედ, როცა სკა „ბარტყობას აპირებს“ მაშინ ფუტკრები აკეთებენ, დედა-ფუტკრიდგან დაშორებით, ფიჭის გვერდზედ სადედოს, რომელსაც პირი ქვევით აქვს დაშვებული (საფიქრებელია, იმისათვის, რომ დედა-ფუტკრის ყურადღება არ მიიქციოს) და რომელშიაც თვით გადააქვთ სამუშაო საკვერცხეებიდგან ახლად დადებული კვერცხი. ამ კვერცხიდგან უხვისა და შერჩეულის საჭმლის მეოხებით გამოდის დედა-ფუტკარი.

მღ. ბ. ფურცელაძე.

---

*) პოზიცია არჩ. დარეჯანაშვილისა ამ კამათში უცნაურია და ცოტა სახოთიროც: თითქო საკამათო საგანი ვერ გაუგიაო, სულ არ ეხება მას.

ს ა პ ა ს უ ხ ო დ.

„კვალის“ მოსაუბრეს.

(„კვალი“ № 7)

მკითხველს მოეხსენება ჩვენი და არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურული კამათი ეგრედ წოდებულ ორგანებრივის თეორიის გამო. ორს თავისს „მეცნიერულ ბორძიკში“ ახალგაზრდა დემოკრატმა ვითომ-და სრულიად შელახა „ივერიის“ რეაქციონული მეცნიერება. მოგეხსენებათ, რომ „ორ ბორძიკს“ ზედ ორი „სულთ ბრძოლა“ მოჰყვა და მაშინ რომ ძლევა-მოსილმა მედროშემ თავზარი დასცა საცოდავ "ივერიის" რეტროგრადებს... ასტყდა დემოკრატიულ დასის მწყობრივი ვაშა და კიჟინი. დაუვიწყარი ზანგი ხიხო ხომ სიხარულისაგან ფეხზედ არ იდგა. იმის ჩხავილსა და კუნტრუშს საზღვარი არ ეტყობოდა.

თუმცა სამეცნიერო „კვალი“ მუდამ მაღალ ფარდებში ჰფრინავს და სულ მარქსს ედება მტლად და ფთილად თავზედ ევლება, მაგრამ ხან-და-ხან ჩვენსკენაც მოწყალების თვალით გადმოიხედავს ხოლმე. მეცნიერმა მოსაუბრემ თუნდ ალმაცერადაც რომ შემოგვხედოს და ყურადღების ღირსი გაგვხადოს,—ისიც ბედნიერებაა. „კვალი“-ს მეცნიერმა მოსაუბრემ ასეთის ბედნიერების ღირსი გაგვხადა და აღნიშნა ჩვენსა და არჩილ ჯორჯაძის შორის ატეხილი კამათი, მაგრამ „ტექსტში“ არა სთქვა-რა და მხოლოდ სხოლიოში მოგვიხსენია. ესეც დიდი მოწყალებაა! მეცნიერების ტაძრის ქვემო სართულში ყოფნაც კარგი თანხაა იმისთანა ლიტერატორთათვის, როგორნიც არიან [illegible]-პლებსი, ი. ფანცხავა. აბა რა ჩვენ [illegible] წამოვსკუპდეთ იქ, სადაც გამოჭიმულა აი, თუნდ დიდებული კრიტიკოსი და სატირიკოსი ი. ევდოშვილი!...

დიაღ, სამეცნიერო „კვალმა“ გაგვაბედნიერა, როცა ჩვენი სახელიც მოიხსენია, მაგრამ ამ მოხსენებას ზედ ისეთი უმეცრება და უვიცობა დააბერტყა, რომ სჯობდა ისევ დავიწყებაში ვყოლოდით. მკითხველს იქმნება ახსოვდეს, რომ ჩვენს წერილში—„ცნობის ფურცლის მედროშე“ („ივერია“ № 16). აღვნიშნეთ საეკონომიო მატერიალიზმის ცალკერძოობა და დავასკვენით—ყველა ერის ცხოვრებასა და ისტორიაში სხვა-და-სხვა ფაქტორი ბრძანებლობს და არა მარტო ეკონომიური. დედა-აზრის დასამტკიცებლად ჩვენის ისტორიიდგან რამდენიმე ფაქტი დავასახელეთ და, სხვათა შორის, მოკიშპე არჩილ ჯორჯაძეს მოვახსენეთ: „მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული ჩვენის ისტორიის და ცხოვრების ფაქტორად საეკლესიო საგანი შეიქმნაო“. სამეცნიერო „კვალის“ მეცნიერს მოსაუბრეს სრულიად გადაუსხვაფერებია ეს ადგილი და ჩვენის პირით უმეცრებას აუწყებს თავისს აუდიტორიას—ამ ბრძანებელ ფაქტორთა შორის ბ-ნი Plebs-ი საპატიო ადგილს უთმობს „საეკლესიო ფაქტორს“, რომელიც ბრძანებლობდა საქართველოს ისტორიაში „მეორე საუკუნიდგან დაწყებული“... როგორც ჰხედავთ, ფრაზა—„მეორე საუკუნიდგან დაწყებული“ ავტორის მიერ ფრჩხილებშია ჩასმული და ეს კიდევ იმას ამტკიცებს, ვითომ იგი ფრაზა სიტყვა-სიტყვით ამოღებულია ჩემის წერილიდგან. რასაკვირველია, შესაძლოა მარქსისა და ენგელსის თეორიით დატვირთულ „კვალის“ მოსაუბრეს მეტ ბარგად მიაჩნდეს საქართველოს საეკლესიო ისტორია და არ იცოდეს, როდის დაარსდა ჩვენში ეკლესია, მაგრამ ამ მოსაუბრეს არავითარიმე უფლება არა აქვს ჩვენი აზრი და სიტყვა დაამახინჯოს. მართალია, ბატონო მოსაუბრე, საქართველოს ეკლესიის ისტორია რეაქციონური მეცნიერებაა და თქვენ სრულიად არ შეგფერით ეგეთი მეცნიერება შეისწავლოთ, მაგრამ ჩვენ მაინც სახელს რად გვიტეხავთ და თქვენს საკუთარს უმეცრებას თავზედ რად გვახვევთ?!. არა, დიდებულო პუბლიცისტო, საქართველოში მეორე საუკუნეს ჯერ ისევ კერპი და ბომონი ბრძანებლობდნენ. ეკლესია მაშინ დაარსდა, როცა ქრისტიანობა დამყარდა და ეს უკანასკნელი ამბავი მოხდა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარს (წელიწადი ჯერაც მეცნიერულად დადგენილი არაა). ქრისტიანობის მიღების შემდეგ საეკლესიო ფაქტორი მართლაც-და მბრძანებელ ფაქტორად შეიქმნა და თქვენ, „კვალის“ მეცნიერო, ჩვენი საეკლესიო ისტორია რომ იცოდეთ, ამ აზრს არ იუცხოებდით. მაგრამ ვინ იცის, იქმნება ეკლესია და ბომონი ერთი და იგივე გგონიათ!..

შემდეგ მეცნიერი მოსაუბრე განაგრძობს: „ყველა ეს მბრძანებელი ფაქტორები და ამათ შორის „საეკლესიოც“, ეტყობა, ძრიელ მოსწონებია არჩ. ჯორჯაძესაცაო“. ესეც ცოცხალი ტყუილია! არჩილ ჯორჯაძე და „საეკლესიო ფაქტორის“ მოწონება!.. კაცი დღე და ღამ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ შემუსროს და ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს ჩვენებური „რეაქცია“, რომელიც, ღვთის წინაშე, უჯორჯაძეოთაც სულსა ჰლევს და ახლა ეს კაცი კლერიკალიზმის მომხრედ გამოჰყავთ!.. ეს-ღა აკლდა, რომ კიდევ ტირილი მორთოს! ბატონო, როგორც სჩანს, თქვენ სრულიად არ გცოდნიათ,—რა გოლიათიც ბრძანდება „ცნობის ფურცლის“ მედროშე. კონტი და სპენსერი მეტაფიზიკებად მიაჩნია, „დახავსებულ და გადაბირებულ მეცნიერებად“ სთვლის და თქვენ-კი უკიჟინებთ, „საეკლესიო ფაქტორი“ მოსწონებიაო...ჰმ, არჩილ ჯორჯაძე და რაღაც რეაქციონური „საეკლესიო ფაქტორი“! მართლაც-და, რა ანტიტეზაა!... სიტყვა „ლიბერალიზმისაგან“ კაცს ზაფრის ქარები მოსდის, ფილენჯი ემართება და თქვენ-კი... თქვენ-კი ქვეყანას აუწყებთ, რეტროგრადის პლებსის აზრები მოსწონსო!... დიაღ, არჩილ ჯორჯაძეს პლებსისა სრულიად არა მოსწონებია-რა და „კვალის“ მოსაუბრე-კი ცუდ-უბრალოდ ცილსა სწამებს „ცნობის-ფურცლის“ პროგრესისტს. ეს ახალი მეცნიერი თვით კონტსა და სპენსერს აბუჩად იჭერს, ზემოდამ ქვემოდ მედიდურად დაჰყურებს, ბურთივით ხელში ათამაშებს და მაინც უკიჟინებენ,—პლებსი მოსწონსო!... გაგონილა?!...

მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მიერ პლებსის მოწონება ეშმაკურად, იკლიკანტურად არის ნახმარი. მოსაუბრეს ჰსურს, ხელ-მეორედ მომისიოს მტერი. ორგანებრივის თეორიის ველზედ დამარცხებული ჯერაც წელში ვერ გამართულვარ, აგერ რამდენი დღეა, რაც ლოგინად ჩავარდნილი ვარ და

ამ უბრალო სცენამ დიდი ტაშის-ცემა გამოიწვია რომში. ეს სცენა ერთად-ერთი სცენა იყო მთელს დრამაში ისეთი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ყველა მაყურებელი და თეატრში დამსწრე.

და განა რას ჰნიშნავს ეს ერთობილი აღტაცება უბრალო, მაგრამ თვისის პოეზიით ძლიერის სცენით, რომელშიაც ორნი ერთურთის ალგზნებით მოტრფიალენი გამოუცხადებენ ერთმანერთს სიყვარულს? ეს იმას ჰნიშნავს, რომ იტალიის საზოგადოებას გემოვნება არა აქვს გაფუჭებული, ეტყობა უნდა დაუბრუნდეს საღს ხელოვნებას, მაგრამ ხელმძღვანელნი ეპირვება და სწორედ ეს ხელმძღვანელნი არა ჰყავს ამ ჟამად.

ლიტერატურაში ამისთანა ხელ-მძღვანელნი, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ, როგორიც არის მაგალითად ვარდუჩი, ჯიაკოზა და სხ. უკვე მოხუცდნენ; მუსიკაში ვერდის სიკვდილის შემდეგ ისეთი გამოჩენილი აღარავინ არ არის, სუბუქ, ჰაეროვან მასკანიის გარდა, სამხატვრო ხელოვნება კიდევ და იქ უფრო უარესობაა, რადგან იტალიის მხატვრობა დიდი ხანია ისე დაეცა, რომ ხელოვნება—არა, უფრო ხელოსნობაა.

ყოველივე ეს შესაძლოა სთქვას კაცმა, რასაკვირველია, იტალიის ერის საერთო გონებრივ მისწრაფების შესახებ, მეტადრე მაშინ, როცა ამ მისწრაფებას დაუმხარდამხარებ მის საჭიროებას. თორემ მეორეს მხრით შეუძლებელია უარ-ვყოთ, რომ ეხლანდელს იტალიას არა ჰყავდეს ნიჭიერნი მწერალნი და ხელოვნების წარმომადგენელნი, მხოლოდ მათს თხზულებაში არ არის ისეთი აღმზრდელი ტენდენციები, რომ საკეთილოდ იმოქმედოს იტალიის ცხოვრებაზედ, რომელსაც დიდი ხანია რაღაც სენი გასჯდომია და აწუხებს. ეს სენი თავს იჩენს არა მარტო საზოგადო და საპოლიტიკო ცხოვრებაში, არამედ გონებრივს ცხოვრებაშიაც და იტალიის ყველა გონიერი კრიტიკოსი იწვევს მწერლებს, დაუბრუნდით გარკვეულს იდეალებს და დაანებეთ თავი გულის-თქმათა უნაყოფო ტრფიალს და ახირებულ, უცნაურ გემოვნების უკან დევნასო.

იტალიისთვის საჭიროა სრულიად განახლდეს და გადახალისდეს მისი ლიტერატურა, ხოლო ამის ქნა გაბრიელ დ'ანუნციოს არ შეუძლიან, თუმცა დიდის შემოქმედობის ნიჭითა და იშვიათის პოეტურის ტალანტით არის დაჯილდოვებული; არ შეუძლიან იმიტომ, რომ თვით იმასა სჭირს ყველა ის სნეულება, რომელთაგან განკურნება ასე სწყურიან იტალიის საზოგადოებას.

უფრო მეტს იმედს იძლევიან შუათანა ნიჭის მწერალნი, როგორც მატილდა სერაო და არტურო გრაფი, რომელთ უკანასკნელ ნაწერებშიაც მოლტენის ჰხედავს პირველ ნიშნებს „ახალის ხელოვნების განთიადისას“.

„მე მგონია, ამბობს მოლტენი თავისს ერთს წერილში, რომელიც ჟურნალ Vita Internationale-შია დაბეჭდილი, რომ ამ ორმა ავტორმა დაანება თავი გულის-თქმათა უფსკრულს, მიატოვა სიყვარულთან ხუმრობა და დაინახა, რაოდენ უნაყოფოა სანტიმენტალური მიმოწვლილვა და გონებრივის ძალღონის ხარჯვა ნერვებ-აშლილ და არა-საღ ამბების წერაზედ“. ამ სიტყვებშია მოთავსებული ყოველივე ის, რაც დღემდე უშლიდა იტალიის ლიტერატურის გადახალისებას და რის უმთავრესი წარმომადგენელიც არის სწორედ გაბრიელ დ' ანუნციო.

მეცნიერებიდგანაც თხოულობს მოლტენი იდეალურს მიმართულებას, „რადგანაცაო, ამბობს ეს კრიტიკოსი იმავე წერილში, მეცნიერების აღმა-ფრენას მალე შეეკვეცება ფრთები, თუ იდეალის ღვთაებრივმა სიომ არ უბერა გამუდმებითო“.

არტურ დეისტ.

ცხრომელი გრიგალი მიაქროლებს, ჰკვეთს და ატრიალებს განუწყვეტელს ფერხულში ავხორცობის მსხვერპლთ. მათ შორის პოეტმა იცნო ორი განუყრელი სული ფრანჩესკასი და პაოლოსი და, როდესაც ჰკითხავს, ვით მიხვდნენ ისინი თავიანთ დაფარულს გულის თქმას, ქალი მიუგებს: „იმ ტანჯვაზე უარესი არა იქნება-რა, კაცი რომ ჭირში ბედნიერს დროს იგონებდეს, მაგრამ თუ მაინც გსურს ჩვენის სიყვარულის დასაწყისი შეიტყო, მათებრ მოვიქცევი, ვინც თან სტირიან და თან მოგითხრობენ თავიანთ ამბავს. ერთხელ ვკითხულობდით, ჩვენ-და საამოდ, ვით შეიპყრა სიყვარულმა ლანჩილოტო; მარტოდ ვიყავით და ეჭვი არაფრისა გვქონდა; წაკითხულმა არა ერთხელ შეგვახედა ერთმანერთს და არა ერთხელ შეგვიცვალა სახის მეტყველება, მაგრამ ერთმა ხანამ-კი დაგვღუპა. როდესაც წავიკითხეთ თუ, ვით აკოცა იმ ტურფა მიჯნურმა მისს სატრფოს მოცინარს ტუჩებში, მაშინ, ვინც არას დროს არ გამეყრება, ათრთოლებული დამკონა ჩემს ბაგეს... იმ დღეს მეტი აღარ გვიკითხნია!» პაოლოსა და ფრანჩესკას მკვლელს, რომელიც დანტეს დროს ცოცხალი იყო, პოეტი კაენის სასჯელს უქადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხაკვარ მოსაუბრეს იოტის ტოლა სიბრალულიც არა აქვს და უნდა სეირს უყუროს, როცა არჩილ ჯორჯაძე აბჯარს აისხამს, მუზარადს დაიხურავს და წამოემართება „რეაქციის“ შესამუსრავად ისტორიულ ფაქტორთა ველზედ. აბა, ასეთი წასისინება და წაქეზება რა მეცნიერ მოსაუბრის ხელობაა!

ჯერ დამაცალეთ, მოვრჩე და ავდგე. ჯერ დავუმტკიცო არჩილ ჯორჯაძეს, —მართლა წაუკითხავს იმას კონტი და სპენსერი, თუ „თავისი დანაკლისი სხვისით შეუვსია“ და მაშინ უთქვენოდაც ერთმანეთს შევებმით და თუ გებრიანებათ, სეირსაც მაშინ უყურეთ...

Plebs.

თეატრი

წარსულ შაბათსა და კვირას ქართულმა დრამატიულმა დასმა ორი წარმოდგენა გამართა: შაბათს ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ წარმოადგინა „ედმონდ კინი“ და ვოდევილი „არივ-დარია“, ხოლო კვირას, დაკლებულის ფასებით, „სამშობლო“ და ვოდევილი „თაგვის ბრალია“. შაბათის წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ყველა ის ახალგაზრდა მსახიობნი ქალნი და კაცნი, რომელთა საბენეფისოდაც ეს წარმოდგენა გაიმართა. ბევრს მათგანს საჩუქრებიც მიართვეს. წარმოდგენამ ცოცხლად ვერ ჩაიარა, არტისტები უგულოდ თამაშობდნენ; შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ ხალხი მეტად ცოტა დაესწრო. არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ქართველს საზოგადოებას, რომელიც ეგრე გულ-გრილად მოეკიდა ახალგაზრდა მსახიობთა დღესასწაულს.

ვერც კვირის წარმოდგენამ ჩაიარა ხეირიანად. წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ ჩვენს თეატრს არც ტანისამოსი აქვს, არც დეკორაციები და არც სხვა მოწყობილობა „სამშობლოს“ რიგიანად წარმოსადგენად. კარგს იზამს დრამატიული გამგეობა, თუ ამ პიესის წარმოდგენას სულ შეაჩერებს იმ დრომდე, ვიდრე შესაფერ ტანისამოსსა და მოწყობილობას შეიძენს.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ მშვენიერი თამაში ქ-ნ ლეჟავასი ვოდევილს „თაგვის ბრალია“-ში. მეტად ცოცხლად, მკვირცხლად და მოხდენილად ჩაატარა მსახიობმა ახალგაზრდა ქვრივის როლი.

ხალხი კვირის წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

—

სახალხო თეატრი ტფილისში. სცენის მოყვარეთ შაბათს, 9 თებერვალს, წარმოადგინეს სამ-მოქმედ. დრამა, თარგ. ნიკიტინისა „დამნაშავეა?“ ამ დღეს წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა, თითქმის ყველას როლის უცოდინარობა ეტყობოდა. მთავარს როლს (დამნაშავისას) ტომას ლეერისას ვ. გუნია თამაშობდა. მან თვისის ბუნებრივის, გრძნობიერის თამაშით მთელს წარმოდგენას კარგი ელფერი მისცა. ხალხი სულ-განაბული უსმენდა ყოველს სიტყვას. მისის მეუღლის მარტას როლს ქ-ნი რომანაშვილისა თამაშობდა. იგი, როგორც ყოველთვის, ეხლაც კარგად ასრულებდა თავისს როლს. მის თამაშს მუდამ დაფიქრება და გადაუჭარბებლობა ეტყობა. იგიც მეტად სასარგებლო სცენის მოყვარეა ამ თეატრისათვის. ე. ჯაბაურისა (იულიას როლში) კარგად თამაშობდა და თან-და-თანობით წინსვლა ეტყობა. ბ-ნი ჯაბაური (კარლოს როლში) მეტის მეტის გადაჭარბებით თამაშობდა, ყოველ უბრალო სიტყვასაც-კი დიდის გრძნობით ამბობდა. უფრო კარგი იქნება მისი თამაში, თუ ზომიერებას დაიცავს იგი მუდამ ტრაგიკულ ადგილების შესრულების დროს. მოძრაობაც გადაჭარბებული აქვს ხოლმე. შეუფერებელი როლი ჰქონდა გ. გელიკურაშვილს საპატიმროს დირექტორის კლიუგისა. მისი საქმე არ არის ამისთანა როლების აღსრულება, უფრო სუბუქს როლებს რომ აძლევდნენ, კარგი იქნება. ამისთანა როლებს იგი კარგად ასრულებს ხოლმე. ადოლფ კრამერის როლი მშვენივრად შეასრულა კ. ხახანაშვილმა. მხოლოდ კარგს იზამს, თუ მუდამ ბუნებრივ ხმაზედ ილაპარაკებს და არა ძალად მობოხებულ ანუ ამაღლებულზედ.

ვილლერ შმიტის როლი-კი სუსტად აღასრულა მანვე. ანტრაქტებში ელისაშვილის ხორო სასიამოვნოდ მღეროდა.

სახალხო თეატრის სექციამ წელს თავისი მოქმედება ქალაქის განაპირა კუთხეებშიაც გადაიტანა. ავლაბარში, მაგ. რამდენიმე წარმოდგენა გამართა და ეხლა ნებართვა აიღო რკინის გზის თეატრში წარმოდგენების გამართვისა. პირველი წარმოდგენა იქ კვირას იქნება. 16 ამ თვეს წარმოდგენილი იქნება მელოდრამა „პარიჟის ღარიბლატაკნი“.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სექციის წევრნი დიდს მუყაითობასა და ენერგიას იჩენენ ამ საქმეში, რაიცა დიდად საჭიროა ამისთანა საქმისათვის, როგორიც არის სახალხო თეატრი. მით უმეტეს, რომ ტანისამოსის, რეკვიზიტის შოვნა და სხვა წვრილმანებისა, რომელიც ძრიელ გაძნელებულია, თვით სექციის წევრთ აწევთ კისრად.

მხოლოდ კარგს იზამენ, თუ რეპეტიციებს უფრო ხშირად გამართვენ, თორემ ერთის რეპეტიციით და ისიც სცენის მოყვარეთათვის ძნელია თამაშობა. ამასთანავე კარგი იქნება, თუ რეპეტიციებზედ ყველა თავისს, დანიშნულს დროს მოვა, თორემ ბევრს მათგანს რამდენისამე საათობით ცდა სჭირდება რეპეტიციის დაწყებამდე და დროს ჰკარგავენ. ამ მიზეზისა გამო რამდენმამე სცენის მოყვარემ კიდეც გამოაცხადა უკმაყოფილება და სცენის თავის დანებებასაც აპირებენ. თუ ყოველგან რიგი და წესი იქნება დაცული, საქმეც რიგიანად წავა. სახალხო თეატრის ასეთს შესამჩნევ წინსვლას რომ ეს წეს-რიგიც თან ახლდეს, რასაკვირველია, დიდად სასარგებლო იქნება საქმისათვის.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

9 თებერვალი.

პეტერბურგი. 8 თებერვალს ერმიტაჟის თეატრის წარმოდგენას დაესწრნენ მათნი უდიდებულესობანი. თორმეტის ნახევარზე ერმიტაჟის დარბაზში ვახშამი იყო გამართული. სამის დასასრულზე მათნი უდიდებულესობანი მოსასვენებლად წაბრძანდნენ; შემდეგ სტუმრებიც დაიშალნენ.

მოსკოვი. მეღვინეთა კრებანი, რომელიც 10 თებერვალს უნდა დაიწყოს, გარდა თავად-აზნაურთა საკრებულოსი, გაიმართება აგრეთვე თავად-აზნაურთა კლუბის სადგომშიაც. მღვდელი ტომაკევიჩი სასარგებლოდ ჰხედავს, რომ საეკკლესიო ღვინის მომზადების დროს დაესწროს მეთვალ-ყურე ს. ნ. ლეენევიჩი, წინადადებას იძლევა დააარსონ მევენახეობის და მეღვინეობის სპეციალისტთა და ინსტრუქტორთა თანამდებობა.

პეკინი. პეკინის ოფიციალურს გაზეთში 6 თებერვალს გამოცხადებულია ქვრივ დედოფლის ბრძანება და გამოთქმულია სინანული იან-იუს გარდაცვალების გამო, რომლის შვილები დაჯილდოვებულნი იქმნებიან მამის დამსახურების გამო.

სარატოვი. საგუბერნიო საკრებულოს გარდაეცა 240,000 მ. მუშა საქონლის გამოსაკვებად და 65,000 მან. საზოგადო სამუშაოებისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საექიმო მმართველობამ არ დაამტკიცა ექიმი ქალი სამაზრო საერობო საავადმყოფოს მკურნალად.

მოსკოვი. ბელგიის საზოგადოების თოფის პატრონთა ქარხანაში აფეთქება მოხდა; მძიმედ არის დაჭრილი ორი მუშა ქალი; ერთი კინაღამ დაიწვა.

პეტერბურგი. მალოროსიულ ენაზე ახალის აღთქმის გამოცემის შესახებ უწმიდესი სინოდი იუწყება, რომ უკანასკნელ ხანებში ამ საგანზედ შუამდგომლობა არა ყოფილა აღძრული, ხოლო წინანდელი შუამდგომლობანი უყურადღებოდ დატოვებულ იქმნაო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გემების პატრონებმა ბირჟის კომიტეტს მიართვეს კოლექტიური განცხადება, რომ საჭიროა ვოლგაზე დაწესდეს გემებისა და ხომალდების დაღუპვისაგან ურთიერთ დამზღვევი საზოგადოება.

კიევი. გავლით დაათვალიერეს კიევი ჩეხის მრეწველთა წარმომადგენლებმა. ამ მოგზაურობის აზრია რუსეთთან ვაჭრობა გააძლიერონ. კიევში და აგრეთვე მის მიდამოებში არის სასოფლო-სამეურნეო იარაღების ფაბრიკები, რომლებიც ჩეხებმა დააარსეს. ჩეხელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საკომერციო სასწავლებელი, რომელიც დააარსა ვაჭართა საზოგადოებამ. საზოგადოებამ სადილი გაუმართა სტუმრებს.

ვარშავა. რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების ვარშავის განყოფილება მოწადინებულია დააარსოს სამუდამო დამზღვევი დელეგაცია, რათა ერთად შეიმუშაონ ის საგნები, რომელიც დაზღვევის საქმეს ეხება და მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ მოსპობილ იქმნას პეტერბურგში საზოგადოებათა შეთანხმება, რომელიც მიმართულია დამზღვევთა ინტერესების წინააღმდეგ.

ლოზოვაია. შეიპყრეს ავაზაკთა ბრბო, რომელიც რკინის გზებზე მოქმედებდა; იმათი ბინა აღმოაჩინეს; ბევრი ნივთები იპოვეს.

10 თებერვალი.

პეტერბურგი. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტაცია 8 თებერვალს საზამთრო სასახლეში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ წარუდგა უქვეშევრდომილესის მადლობის მოსახსენებლად. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული ნაშუადღევის 2½ საათზე დეპუტაციასთან გამოვიდნენ და შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპუტაცია მათ უდიდებულესობათ წარუდგინა, წარდგენის შემდეგ ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა, ხელმწიფე იმპერატორის ნება-რთვით, ადრესი წაიკითხა. ხელმწიფე იმპერატორმა დეპუტაცია შემდეგის სიტყვებით გაახედნიერა: ხელმწიფე დედოფალმა და მე სიამოვნებით მოვისმინეთ თქვენი ადრესი და მადლობას გიცხადებთ ადრესში გამოთქმულ გრძნობათათვის და ქუთაისის თავად-აზნაურობის ასის წლის ერთგულის სამსახურისათვის. იმედი გვაქვს, რომ მალე გნახავთ კავკასიაში. მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ამის შემდეგ მოწყალედ ელაპარაკნენ დეპუტაციის ზოგიერთ წევრთ და მერე ისევ შიდა ოთახებში შებრძანდნენ. დეპუტაციის ყველა წევრი იმავე საღამოთი საიმპერატორო ერმიტაჟის სათეატრო დარბაზში წარმოდგენაზე მიიწვიეს. წარმოდგენას მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანიც დასწრებიან.

„ჟურნალ დე პეტერბურგი“ იხსენიებს, თუ რა აზრები წარუდგინეს ევროპიელმა ელჩებმა შეერთებულ შტატების მთავრობას ამერიკა-ესპანიის ომის წინად და ამბობს, რომ რუსეთის მთავრობა ნამდვილად მეგობრულად ექცეოდა შეერთებულ შტატების მთავრობას და არ აჰყვა სხვა სახელმწიფოებს, რომლებმაც ვაშინგტონის კაბინეტის პოლიტიკა არ მოიწონესო. რუსეთის მთავრობას უნდოდა სასტიკად დაეცვა ნეიტრალიტეტი და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისი მეგობრობა ამერიკის ერისათვის. ეს მეგობრობა ხომ რუსეთს არა ერთხელ დაუმტკიცებია და, სხვათა შორის, სამოქალაქო ომის დროსაც 1864 წელს დაამტკიცა, თუ რა მეგობრულად უყურებდა შეერთებულს შტატებს.

9 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე-მემკვიდრემ არტილერიის მუზეუმი დაათვალიერეს პეტერბურგის ციხეში.

9 თებერვალს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა მაკოვსკის სურათებისა და ეტიუდების გამოფენა დაათვალიერეს.

პეტერბურგის 200 წლის მომავალ იუბილეის სახსოვრად სახელოსნო სასწავლებელთა საზოგადოება არსდება.

ოდესა. მესამე დღეა შავი ზღვა ღელავს, დიდი ქარი ჰქრის. გემებს ძლიერ უჭირანდებათ მოსვლა. ბევრი გემი სულაც ვერა ჰბედავს ზღვაში შესვლას. სამხრეთში ყველგან სიცივე დაიჭირა. თოვლი არ მოსულა.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ ექიმის იანიშევსკის საქმე გაარჩია. იანიშევსკის ჰბრალდებოდა, რომ ნიჟეგოროდის ეპარქიალურ სასწავლებელში ექიმად ყოფნის დროს, არ გამოაცხადა თავისს დროს, რომ ქუნთრუშის ეპიდემია დაიწყო. ნიჟეგოროდის სასამართლომ გაამართლა იანიშევსკი, პალატამ-კი დაადგინა, რომ იანიშევსკის ექვსის თვის სამსახური აღარ ჩაეთვალოსო.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს სწერენ პრეტორიიდგან: 28 იანვარს დევეტმა 400 კაცით დინდლეის დასავლეთით, ათის მილის მოშორებით, ბლოკჰაუზების წრე გაარღვია. დევეტი ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, იმასმა რამდენმამე ჯარის კაცმა ეკლიან მავთული გასჭრეს და მთელს რაზმს გზა გაუხსნეს.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ დევეტი რეიცის ჩრდილოეთით იმყოფებაო და მდინარე ლიდენბერგლეის ნაპირების სიმაგრეებში იმალებაო; წინადაც აქ იმალებოდა ხოლმეო. ტყვე ბურები ამბობენ, რომ მეომარ ორანჟის ბურებზე შტეინს მეტი გავლენა აქვს, ვინემ დევეტსაო, ამიტომ შტეინის დაჭერასაც მეტი მნიშვნელობა ექმნებაო.

ბაქო. შემახაში საპიორების ხელმძღვანელობით ნანგრევებს თხრა დაუწყეს. შემახის კომიტეტმა ხუთი კომისია დაარსა—მკურნალებისა, ხალხის საკვებად, გადასასახლებლად, ნანგრევთა სათხრელად და სახლების ასაშენებლად. ყოველ დღე კომიტეტის ხარჯით შემახიიდგან ოჯახები ასობით მიდიან, უმთავრესად ბაქოში დალუპულთა და დაჭრილთა სიებს ადგენენ. სულ 4,500 სახლია დანგრეული. დაზარალებულ სოფლების საშველად ცალკე რაზმი გაიგზავნა. შემახაში სიცივე დაიჭირა. მეორე დღეა თოვლი მოდის. სახადი და ქუნთრუშა გაჩნდა. ადამიანთა გვამების და საქონლის ლეშის სუნი დგას ყველგან. ზოგან ქურდობა მოხდა. თბილი სადგომი უჭირს ხალხს. აქედგან ქვებისა და ბრეზენტებს ჰგზავნიან შემახაში, მაგრამ ცოტასა. შეწირულებას კიდევ ჰკრებენ.

11 თებერვალი.

პეტერბურგი. 10 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ჩამოვიდა ბუხარის ემირი და წავიდა დასაბინავებლად საზამთრო სასახლეში.

სოხუმი. მისი უმაღლესობა პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელი მიბრძანდა გაგრში დღეს საღამოს 6 საათზე.

ბაქო. შემახის მცხოვრებთა გაჭირვება უფრო დიდია, ვიდრე ფიქრობდნენ წინად. დაზარალებულ სოფლების მკვიდრნი შემწეობას თხოვენ ადგილობრივ კომიტეტს. რამდენიმე ათასი კაცი უბინოთ და ულუკმა პუროდ არის და ძლიერ შეწუხებულია. მეცხრე დღეს იპოვეს პატარა ქალი ნანგრევებში ცოცხალ-მკვდარი; საღამოს მან წყალი მოითხოვა.

იალტა. ყირიმის მევენახეებმა გადაწყვიტეს იშუამდგომლონ მოსკოვის კრებაზე, რათა ნება დართულ იქმნას ნამდვილის ყურძნის ღვინოს გაყიდვა სახელმწიფო საარყო მაღაზიებში; ეს ძლიერ ხელს შეუწყობს მეღვინეობის განვითარებას ყირიმში და კავკასიაში.

გოროდნია. ქალაქი თხოულობს სავაჭრო სკოლის გახსნას.

სალონიკი. მისს სტონი განთავისუფლებულია და დილას მოვიდა სტრუნიცაში

ეკატერინბურგი. 13 თებერვალს დანიშნულია ყაზანის სამოსამართლო პალატის სესსიაში განსახილველად მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება იარაღებით ოთხის სოფლის მცხოვრებლებისა; ბრალი ედებათ 37 კაცს, მოწმე 94-ია, მათში 35 პოლიციელია და 2 ზემსკი ნაჩალნიკი.

მოსკოვი. დღეს გახსნილ კრებაზე ბევრი მევენახეა ჩამოსული ბესსარაბიიდგან, ყირიმიდგან და კავკასიიდგან; საუფლისწულო მამულების წარმომადგენელნი არიან მარტინოვი, ვოლკანინოვი, ტანფილოვი და კელლერი; არას სინოდის წარმომადგენელი. კრებაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ აგრეთვე ხერსონის, ტავრიდის და ბესსარაბიის საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი, სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი, მეღვინენი ყიზლიარიდგან და ტფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი მელიქიშვილი. კრებას დაესწრებიან ცნობილი მევენახენი

მიტავა. ლიუტერანულ ეკკლესიაში ფულებს აგროვებენ შემახელთა სასარგებლოდ.

სიმბირსკი. არსდება შინამრეწველობის კურსები 40 კაცისათვის; ქალაქი იძლევა შემწეობას 500 მან. და ბინას.

ადესსა. წითელი ჯვრის აქაურს გამგეობა და გაზეთების რედაქციები ფულს აგროვებენ შემახელთა სასარგებლოდ. დნეპრი გაიყინა. ადესის ერობამ მოხსენება წარუდგინა საგუბერნიო ერობას, რომ საჭიროა ხერსონის გუბერნიაში მეტეოროლოგიური სადგურების გამართვაო. ბოლგარიიდგან მოვიდა გემი აზოვი დაღუპულის გემის ცესარევნას კომანდით. ქვის სამტვრევების პატრონები რიცხვით 150 კაცი შუამდგომლობენ შინაგან სამინისტროში, რათა დაარსებულ იქმნას ადესაში ქვის სამტვრევების მუშათა საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება.

მოსკოვი. მევენახეთა და მეღვინეთა კრებას მიესალმა სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. წაიკითხეს მიწად-მოქმედების მინისტრის დეპეშა და მილოცვანი სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან. სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა მუსინ-პუშკინმა. საერთო ინტერესი გამოიწვია გოლიცინის სიტყვამ, რომელმაც აღნიშნა მევენახეობის მოუწყობლობა. დაარსდა ქალთა წრე, რომელსაც საგნად აქვს სასარგებლო გასართობი მიაწოდოს მუშა ქალებს.

ელისავეტოპოლი. გამოირკვა, რომ 31 იანვარს მიწის ძვრა იყო მთელს გუბერნიაში.

პარიზი. გუშინ თავ. ურუსოვმა დიპლომატიურ კორპუსს დიდი სადილი გაუმართა, რომლის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

მოსკოვი. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოებამ გადაწყვიტა, სტუდენტების სასადილოებისათვის ააგოს სამ-სართულიანი სახლი 53 ათ. მან. ღირებული; შიგვე იქნება სამუშაოს მოსაძებნელი ბიურო.

მოხდა წლიური კრება ნაფიც ვექილების თანაშემწეთა კონსულტაციისა, წარსულს წელს კონსულტაციას მიუცია 4,818 რჩევა, მათში 51% უფასოდ, ფასით 25—50 კაპ.—34%, მან. და მეტი—15%. სესსიებში საქმეები დაუცავთ კონსულტაციის 368 წევრს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში მარკაში 100	46,07½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,27½
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	99⅞
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	94½ გაყიდ.
5% 1-ლი მოგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ გაყიდ.
5% მეორე მოგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	379 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302½ გაყიდ.
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	85½ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	
„ კასპიის ამხანაგობისა	4,350 წვ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	168 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების სათვალი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
აგსართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчехатскій соборъ Карбеловъ	20 ,,

Дозвол. цензурою. Тифлисъ 11 Февраля 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ჭავჭავაძე